პროლეტარიატის ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

პარასკევი, 16 მაისი, 1952 წ. № 115 (9275) ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

საქართველოს მეშახტეებისა და შახტმშენებლების სიტყვა დიდ სტალინს — მოწინავე (1-ლი გვერდი).
გაიხსნა საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობა (1-ლი გვერდი).
თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს VI სესია (მე-2 გვერდი).
საერთო მაჩვენებლების უკან (მე-2 გვერდი).
ოთხ თვეში თერთმეტი თვის ნორმა (მე-2 გვერდი).
ავითვისეთ ახალი მანქანის წარმოება (მე-3 გვერდი).
ერთი მაღაროს ფიზკულტურელები (მე-3 გვერდი).
აღმოვფხვრათ საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის [illegible] (მე-3 გვერდი).
ალიო ადამია — [illegible] ბალში (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საქართველოს მეშახტეებისა და შახტმშენებლების სიტყვა დიდ სტალინს

ამომრჩეველთა კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა, ლაპარაკობდა რა კომუნისტური პარტიის უახლოესი მომავლისა და უფრო ხანგრძლივი პერიოდის გეგმებზე, ამოცანად დასახა — ქვანახშირის ყოველწლიური ამოღება აყვანილ იქნას 500 მილიონ ტონამდე. სათბობი მრეწველობის მრავალრიცხოვანი არმია თავდადებით იბრძვის ამ დიდი სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტისათვის, სტალინური დავალების წარმატებით განხორციელებისათვის.

საბჭოთა მეშახტეები და შახტმშენებლები სულ უფროდაუფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას 1952 წლის საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ეს შესანიშნავი პატრიოტული მოძრაობა, რომელიც დონბასელ მეშახტეთა და შახტმშენებელთა ინიციატივით დაიწყო, ფართოდ ვრცელდება საქართველოს ქვანახშირის რაიონებში.

გუშინ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა საქართველოს სსრ მეშახტეებისა და შახტმშენებლების წერილი ამხანაგ სტალინისადმი. ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს მოუთხრობენ თავიანთ მიღწევებზე და ვალდებულებას იღებენ ვადამდე შეასრულონ 1952 წლის საწარმოო დავალებანი.

„ჩვენ მოხარული ვართ მოგახსენოთ, — წერენ ქართველი მეშახტეები და შახტმშენებლები ამხანაგ სტალინს, — რომ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის წლებში და 1951 წელს ქართველი ხალხის მიერ მოპოვებულ წარმატებებში შრომითი წილი გვიდევს მეშახტეებს. ახორციელებენ რა პარტიისა და მთავრობის მითითებებს საბჭოთა ამიერკავკასიის სოციალისტური მრეწველობის ადგილობრივი სათბობით უზრუნველყოფის შესახებ, საქართველოს მეშახტეები წლითწლობით ადიდებენ ქვანახშირის ამოღებას, უზრუნველყოფენ ახალი შახტების ამუშავებას და აუმჯობესებენ თავიანთი მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს“.

ამჟამად საქართველოს მეშახტეები რამდენჯერმე უფრო მეტ ქვანახშირს იღებენ, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. ძმიმე შრომატევადი საწარმოო პროცესების შემდგომი მექანიზაციისა და შახტებში ციკლური გრაფიკით მუშაობის დანერგვის საფუძველზე 1951 წელს ქვანახშირის ამოღება 1950 წელთან შედარებით 16,2 პროცენტით გადიდდა და შრომის ნაყოფიერება 10,3 პროცენტით გაიზარდა. ამასთან ერთად გასულ წელს ამუშავდა ახალი შახტი, აგებულ იქნა ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა, მეშახტეებმა მიიღეს 30 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების მთელი რიგი ობიექტები.

ცხადია, ქართველ მეშახტეთა და შახტმშენებელთა მიერ მოპოვებული მიღწევები მნიშვნელოვნად მეტი იქნებოდა, უკეთ რომ ყოფილიყო გამოყენებული ჩვენი რესპუბლიკის სათბობ მრეწველობაში არსებული რეზერვები, ქვანახშირის რაიონების პარტიული ორგანიზაციების, ტრესტებისა და შახტების ხელმძღვანელობაში ადგილი რომ არ ჰქონოდა სერიოზულ ნაკლოვანებებს და შეცდომებს.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი ყოველდღიურად იჩენენ მზრუნველობას საბჭოთა მეშახტეებისადმი, ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი ძლევარი აღმავლობისადმი. ქართველმა მეშახტეებმა და შახტმშენებლებმა კარგად იციან, რომ მათ მიერ მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია იმ უდიდესი დახმარების შედეგად, რასაც სისტემატურად უწევს ქვანახშირის მრეწველობას პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის სახელმწიფო გეგმა ახალ პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს გადასაწყვეტად საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა წინაშე. ეს ამოცანებია: ქვანახშირის ამოღების შემდგომი ზრდის მიღწევა, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, ამოღებული ქვანახშირის თვითღირებულების შემცირება და მისი ხარისხის გაუმჯობესება, კაპიტალურ მშენებლობათა გეგმების წარმატებით განხორციელება, მეშახტეებისათვის საცხოვრებელი ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების აგება.

საქართველოს მეშახტეები სიტყვას აძლევენ ამხანაგ სტალინს: ვადამდე შეასრულონ ქვანახშირის ამოღების წლიური დავალება და გეგმის გადამეტებით ამოიღონ 60 ათასი ტონა სათბობი. გაადიდონ შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3 პროცენტით და 1951 წელს მიღწეულ დონესთან შედარებით 8,6 პროცენტით. შეასრულონ ძირითად მოსამზადებელი სამთო გამონამუშევართა გაყვანის გეგმა სტალინური კონსტიტუციის დღისათვის—5 დეკემბრისათვის.

ამ ვალდებულების წარმატებით შესრულების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს შახტებში შრომის მოწინავე მეთოდის — ციკლური გრაფიკით მუშაობის რაც შეიძლება ფართოდ დანერგვა, პირველხარისხოვანი სამთო ტექნიკის სრულყოფილად გამოყენება. ბელადისადმი გაგზავნილ წერილში მეშახტეები კისრულობენ მიმდინარე წელს საქართველოს ქვანახშირის კომბინატის შახტებში ციკლური გრაფიკით მუშაობაზე გადაიყვანონ 23 ლავა. მუშაობენ რა დონბასელ მეშახტეთა მაგალითისამებრ, ტყვარჩელისა და ტყიბულის მოწინავე მეშახტეებმა საკმაო გამოცდილება შეიძინეს ციკლური გრაფიკით მუშაობის დარგში. ამ გამოცდილების გავრცელება ყველა შახტსა და უბანში გადაუდებელი საბრძოლო ამოცანაა.

ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის რაიონები განუწყვეტლივ იარაღდება ახალი, შესანიშნავი სამთო ტექნიკით. ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის შახტებში ფართოდ არის გამოყენებული მძლავრი ტრანსპორტერები და კონვეიერები, ელექტრომავლები და მექანიკური ჯალამბრები, ქვანახშირისა და ფუჭი ქანის მტვირთავი მანქანები. სათბობი მრეწველობის მუშაკთა ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა უზრუნველყონ ამ შესანიშნავი ტექნიკის მთელი სიმძლავრით გამოყენება. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს ქვანახშირის ისეთ მოწინავე ტრესტს, როგორიც ტყვარჩელქვანახშირის ტრესტი არის. ტყვარჩელელები მათ განკარგულებაში არსებული ტექნიკისაგან მთლიანად ვერ იღებენ ყოველივე იმას, რის მოცემაც მას შეუძლია. მიმდინარე წლიდან სავსებით უმოქმედოდ დგას ტრესტის შახტებში ფუჭი ქანის მტვირთავი 4 მანქანა. შრომის ნაყოფიერების გადიდების მძლავრი საშუალება — სამთო ტექნიკა კიდევ უფრო ნაკლებად არის გამოყენებული ტყიბულისა და ახალციხის შახტებში.

სათბობი მრეწველობის შემდგომი აღმავლობა, მაღაროელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შახტმშენებლების მუშაობაზე. საქართველოს შახტმშენებლებმა პირობა მისცეს ამხანაგ სტალინს, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიურ გეგმას შეასრულებენ 21 დეკემბრისათვის. ამ ვალდებულების განხორციელებისათვის საჭიროა შახტმშენებლებმა კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობის ტემპი, გადაჭრით მოუღონ ბოლო მათ მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

დიდი სტალინისათვის მიცემული სიტყვის წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლას სათავეში უნდა ჩაუდგნენ ქვანახშირის რაიონთა პარტიული ორგანიზაციები. პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა დაუჭირონ მხარი ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს, ისინი უნდა იყვნენ მოძმე დონბასელ და ქართველ მეშახტეთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების სული და გული. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი ძალები დარაზმონ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და საწარმოო რეზერვების მთლიანად გამოყენებისათვის.

ეჭვი არ არის საქართველოს მეშახტეები და შახტმშენებლები თავიანთ ძალასა და შრომას არ დაზოგავენ ამ ვალდებულებათა სასახელოდ განხორციელებისათვის, ქვანახშირის ამოღებისა და ახალ მშენებლობათა 1952 წლის გეგმების ვადამდე განაღდებისათვის.

ყაზბეგისა და გარეუბნის რაიონების კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმა

ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებმა 10 მაისისათვის 155,3 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმა. სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარება გრძელდება.

გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებმა 12 მაისისათვის 102,3 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმა. სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარება გრძელდება.

გაიხსნა საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობა

1952 წლის 15 მაისის დილის სხდომა

15 მაისს თბილისის რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში გაიხსნა საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობა.

კარგა ხნით ადრე, სანამ ყრილობა გაიხსნებოდა, თეატრში შეიკრიბნენ დელეგატები და მრავალი სტუმარი. მათ შორის არიან მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა მოწინავე მუშაკები, საკოლმეურნეო სოფლის საუკეთესო ადამიანები, ახალგაზრდა მეცნიერები, მსახიობები, მწერლები, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები. იარუსებზე გაკრულ ალისფერ ტილოებს აწერია სიტყვები: „გაუმარჯოს კომუნისტების დიად პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას, საბჭოთა ხალხის ბრძოლებში გამოწრთობილ ავანგარდს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს“, „გაუმარჯოს ლენინურ-სტალინურ კომკავშირს — კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს, კომუნისტური პარტიის საიმედო თანაშემწესა და რეზერვს“.

სცენის სიღრმეში არის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბიუსტი. ალისფერ ატლასშუმის ტილოზეა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის პორტრეტი, მისი ერთგული თანამებრძოლების ვ. მ. მოლოტოვის, გ. მ. მალენკოვის და ლ. პ. ბერიას პორტრეტები.

სცენის თავზეა საყოველთაო სახალხო მისალმების მგზნებარე სიტყვები:

„დიდება დიდ სტალინს!“

ყრილობას ხსნის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **მ. მეგრელიშვილი.**

დელეგატები იწყებენ ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოების — საქმიანი პრეზიდიუმის, სამდივნოს, სარედაქციო და სამანდატო კომისიების არჩევნებს.

საქმიანი პრეზიდიუმის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ ამხანაგები **ა. მგელაძე, ზ. კეცხოველი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ა. ანტონოვი,** საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. შელეპინი, ვ. ცხოვრებაშვილი, ვ. ბაქრაძე, ვ. ბუჯიაშვილი, რ. კვირკველია, ნ. რუხაძე, კ. ბუჯიაშვილი, კ. ციმაკურიძე, ი. კოჭლამაზაშვილი, ვ. ბალავაძე, პ. ეფიმოვი, გ. ზედგინიძე, ნ. რომანოვი, მ. მეგრელიშვილი, ვ. კუპრაძე,** საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომკავშირული ორგანოების განყოფილების სექტორის გამგე **ე. კისელიოვი, გ. დედაბრიშვილი, თ. ხელაშვილი, გ. ბანძელაძე, გ. ურიდია, ნ. პავჩინსკი, ნ. ნატროშვილი, გ. კვთიოშვილი, რ. კანდელაკი, კ. შავიშვილი, ს. რიგვავა, პ. თედეევი, შ. გაგოშიძე, მ. კაკაბაძე, თ. ჯანელიძე, ლ. ფანჩულიძე, მ. სამადალაშვილი, ე. რაქვიაშვილი, თ. ლაზარაშვილი, გ. ცოვაძე, დ. ბობილევი, დ. მოროზოვი, ვ. კრუგლიკოვი, ვ. სირაძე,** ლაგოდეხის რაიონის ბერეინსკის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური სოციალისტური შრომის გმირი **შ. ბეიტრიშვილი,** ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ზეინკალი **ნ. რამიშვილი,** თბილისის საორთქლმავლო დეპოს სტახანოველი **ზ. ნატროშვილი,** თბილისის 23-ე ქალთა საშუალო სკოლის მოსწავლე **ა. ნიკოლაიშვილი.**

სამდივნოს შემადგენლობაში არჩეული არიან ამხანაგები: **შ. კოპალიანი, კ. სალუქვაძე, შ. ბაკურაძე, თ. ბადურაშვილი, გ. თოდრია.**

სარედაქციო კომისიაში არჩეული არიან ამხანაგები: **მ. გოგიჩაიშვილი, კ. ჭელიძე, ნ. თენიეშვილი, კ. ცხვედაძე, ვ. კაპანაძე, გ. მუხრანელი, თ. გელიაშვილი.**

სამანდატო კომისიის შემადგენლობაში არჩეული არიან ამხანაგები: **თ. ხელაშვილი, რ. ხიკუბა, ნ. გაბუა, ნ. იანვარაშვილი, ვ. ბურკიაშვილი, მ. ილაშვილი, ა. ცინცაძე, ვ. მუშკუდიანი, შ. გედენიძე.**

შემოდის წინადადება — არჩეულ იქნას ყრილობის საპატიო პრეზიდიუმი.

— **დიდი სტალინი!**

მშობლიური, ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ძვირფასი სახელის ხსენება იწვევს მჭუხარე ხანგრძლივ ტაშს. დელეგატები ფეხზე დგებიან და მხურვალე ოვაციას მართავენ პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბელადის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა გამარჯვების გენიალური შემოქმედის პატივსაცემად.

საპატიო პრეზიდიუმის შემადგენლობაში ტაშის გრიალით ირჩევენ დიდი **სტალინის** უახლოეს თანამებრძოლებს — ამხანაგებს **ვ. მ. მოლოტოვს, გ. მ. მალენკოვს, ლ. პ. ბერიას, კ. ე. ეროშვილოვს, ნ. ა. ბულგანინს, ა. ი. მიკოიანს, ლ. მ. კაგანოვიჩს, ა. ა. ანდრეევს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ა. ნ. კოსიგინს, ნ. მ. შვერნიკს.**

ყრილობა ერთხმად ამტკიცებს შემდეგ დღის წესრიგს:

1. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე სიტყვა ეძლევა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. **მ. მეგრელიშვილს.**

მომხსენებელი ლაპარაკობს კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ახალგაზრდობის აქტიურ მონაწილეობაზე, ლენინ-სტალინის პარტიისადმი მის უსაზღვრო ერთგულებაზე, იმაზე, რომ იგი მზად არის მთელი ჯანღონე სამშობლოს სამსახურს მოახმაროს.

შემდეგ ამხ. მეგრელიშვილი ლაპარაკობს, რომ საქართველოს ახალგაზრდობა თავდადებით შრომობს საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ახალგაზრდობის შრომითი წარმატებები უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში სერიოზული შეცდომები და პოლიტიკური ჩავარდნა რომ არ ყოფილიყო, რაც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერი სტილის პირდაპირი ანარეკლია.

დასასრულ ამხ. მეგრელიშვილი ლაპარაკობს, რომ საქართველოს კომკავშირი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ყოველ ღონეს იხმარს, რათა აღმოფხვრას ნაკლოვანებანი თავის მუშაობაში, გახდეს ლენინურ-სტალინური კომკავშირის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი, დარაზმოს ახალგაზრდობის ენერგია და ძალები იმ ამოცანების შესასრულებლად, რაც რესპუბლიკის მშრომელებს დაუსახეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და დიდმა სტალინმა.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **რ. ლეიაშვილმა.**

შემდეგ ყრილობაზე დაიწყო კამათი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: **თ. ჯანელიძე** — საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი, **რ. კანდელაკი** — საქართველოს ალკკ ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი, **ს. რიგვავა** — საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი.

ამით დამთავრდა ყრილობის პირველი სხდომა. (საქდესი).

1952 წლის 15 მაისის საღამოს სხდომა

15 მაისის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი **კ. შავიშვილი,** საქართველოს ალკკ თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანი **ი. სარაჯიშვილი,** კომკავშირის ბორჯომის რაიკომის ყოფილი მდივანი **ლ. გონგაძე,** ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის თანაშემწე კომკავშირის დარგში **დ. ბობილევი,** საქართველოს ალკკ ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ვ. გუჯაბიძე** და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი **შ. გაგოშიძე.**

ყრილობაზე რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის მორიგი ამოცანებისადმი მიძღვნილი ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. მგელაძემ.**

ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება.

სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ამხ. **თ. ხელაშვილი** აცხადებს, რომ კომკავშირის თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კონფერენციებზე საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობის პირველ დელეგატად არჩეულია ამხანაგი **ი. ბ. სტალინი.**

ყრილობის დელეგატები და სტუმრები ამ ცნობას მჭუხარე ოვაციით ხვდებიან.

ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ცნობას იმის შესახებ, რომ კომკავშირის საოლქო კონფერენციებზე ყრილობის დელეგატებად ერთხმად არჩეული არიან აგრეთვე დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლნი ამხანაგები **ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი** და **ლ. პ. ბერია.**

ყრილობას ესწრება 567 დელეგატი. დელეგატებს შორის არიან ახალგაზრდა მუშები და კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერი მუშაკები, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები და სკოლების მოსწავლეები, კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი, ხელმძღვანელი კომკავშირული მუშაკები და საბჭოთა არმიის წარმომადგენლები. დელეგატების თითქმის ერთიმესამედი ქალია. 337 დელეგატს უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს.

დელეგატთა შორის 18 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, 31 — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ყრილობის დელეგატთა შორის არის ორი საბჭოთა კავშირის გმირი, 18 სოციალისტური შრომის გმირი, 297 საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულნი.

ყრილობა ამტკიცებს სამანდატო კომისიის მოხსენებას.

ყრილობის მონაწილენი მჭუხარე ტაშით ხვდებიან წინადადებას მისალმება გაეგზავნოს ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

საბჭოთა ხალხის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი მისალმების ტექსტს იღებენ მჭუხარე, ხანგრძლივი ოვაციით.

თავმჯდომარე აცხადებს შესვენებას 16 მაისის დილის სხდომამდე. (საქდესი).

ჩაის ფოთლის კრეფა

წყალტუბო. (**„კომუნისტის“ კორ.**). სოფელ გვიშტიბის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობას 311 ჰექტარი ჩაის ფართობი აქვს. აქედან მსხმოიარეა 282 ჰექტარი. ჩაის პლანტაციას კარგად უვლიან. კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფა. პირველ ორ დღეს მოკრიფა და ჩაის ფაბრიკას ჩაბარა 3 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მეჩაიეობის ბრიგადებისა და რგოლების წინაშე წელს სერიოზული ამოცანა დგას: გეგმით გათვალისწინებული 315 ტონის ნაცვლად მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 350 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. მიხეილ ქომეთიანის და გრიგოლ ლექვთაძის ბრიგადებმა საგრძნობლად გაუსწრეს დანარჩენ 6 ბრიგადას. ისინი ახლა შეჯიბრების ინიციატორები არიან. მოწინავე მეჩაიეები მ. ფაილოძე, ქ. კინწურაშვილი, ნ. კუჭავა, პ. კირთაძე, ბ. იოსელიანი 150 პროცენტით ასრულებენ ჩაის ფოთლის კრეფის დღიურ დავალებებს.

აბრეშუმის პარკის ახალი მოსავალი

ქუთაისი. (**საკ. კორ.**). 13 მაისს ქუთაისის საგრენაჟო ქარხანამ აბრეშუმის პარკის ახალი მოსავალი მიიღო. პარკი პირველმა ჩაბარა წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა მარგალიტა მამაგეიშვილმა. მან სამი გრაში მურის კვება 24 დღეში დაამთავრა და ნაცვლად გათვალისწინებული 12 კილოგრამისა მიიღო 25 კილოგრამი აბრეშუმის საჯიშე პარკი.

პარკის კარგი მოსავალი მიიღო იმავე კოლმეურნეობის წევრმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მარგალიტა კიკვაძემ, რომელმაც 24 დღეში დაამთავრა ჭიის გამოკვება და გეგმის გადამეტებით ქარხანას ჩაბარა 50 კილოგრამი პარკი.

ციმლიანსკაიას ჰიდროსადგურის პირველი აგრეგატის საცდელი ამუშავება

ნოვო-სოლენოვსკი, 14 მაისი. (საკდესი). გუშინ ციმლიანსკაიას ჰიდროსადგურის მემონტაჟეებმა დაამთავრეს მუშაობა პირველ აგრეგატზე.

...საზეიმო წუთებია. კომისიის წევრები ათვალიერებენ მანქანის კვანძებს, შემდეგ ციმლიანსკაიას სახელმწიფო ჰიდროსადგურის „ოპერატიული ჟურნალის“ პირველ გვერდზე შეაქვთ პირველი ჩანაწერი. იმ უბნების მთავარი ინჟინრები, რომლებმაც აგრეგატი დაამონტაჟეს, ლენინგრადის სტალინის სახელობის ქარხნისა და ქარხანა „ელექტროსილას“ წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ მთელი მოწყობილობა მზად არის საცდელი ამუშავებისათვის.

სამანქანო დარბაზში იკრიბებიან ჰიდროკვანძის ხელმძღვანელები, მშენებლები, მემონტაჟეები. სტალინის სახელობის ლენინგრადის ლითონის ქარხნის წარმომადგენელი ინჟინერი ორლოვი აბრუნებს სვეტის — კომბინატორის ტარს და სამართავი აპარატის ფრთები იღება. ზღვის წყალი დაეშვა ტურბინისაკენ.

შეკრებილნი უყურებენ ტახომეტრის — ტურბინის ბრუნის რიცხვის მაჩვენებელი ხელსაწყოს ისარს. გენერატორის როტორი ნელა ბრუნვას იწყებს. დარბაზში გრიალებს ტაში.

პირველი გამოცდა 2 საათნახევარს გაგრძელდა. კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ მთელი სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები შესრულებულია მაღალი ხარისხით.

საარწყავი სისტემების მშენებლობა ვოლგის იქითა მხარის ველებზე

კუიბიშევი, 12 მაისი. (საკდესი). „შუავოლგის წყალმშენი“ შეუდგა პირველი საარწყავი სისტემების მშენებლობას, რომლებიც შეელენ კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის ელექტროენერგიის გამოყენების ბაზაზე ვოლგის იქითა მხარის მიწების მორწყვის საერთო გეგმაში.

კუიბიშევის ოლქის სოფელ უტევკის მახლობლად მუშაობა დაიწყო ვეტლიანსკაიას იმ სარწყავი სისტემის სათავო კვანძზე, რომელიც მორწყავს 5.600 ჰექტარ საკოლმეურნეო მიწას. გაჩაღდა მუშაობა აგრეთვე ჩერნოვსკაიას, ტეპლოვსკაიას, ტალოვსკაიასა და პიკელიანსკაიას საარწყავი სისტემების სათავო კვანძებზე კუიბიშევის ოლქში და კრუტინსკაიას საარწყავ სისტემაზე ჩკალოვის ოლქში.

ნათესების დამუშავება თვითმფრინავებიდან

უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ცენტრალურ ოლქებში, ვოლგისპირეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში დამთავრდა საშემოდგომო ნათესებში მინერალური სასუქების დამატებითი შეტანა, რასაც ყანებში სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავები ასრულებენ. დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირში და ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ ოლქებში ეს მუშაობა მთავრდება. ჰაერიდან განაყოფიერებული ნათესების საერთო ფართობი თითქმის მილიონ ჰექტარს აღწევს.

თვითმფრინავები გადადიან სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაზე. ჩრდილოეთ კავკასიაში და უკრაინის ზოგიერთ რაიონში ავიაციის დახმარებით ეწევიან კუსებურასაგან მარცვლეული ნათესების დაცვას. ამ მიზნით ყანებს ჰაერიდან აფრქვევენ ჰექსაქლორანს.

შაქრის ჭარხლის ცხვირგრძელას მოსასპობად უკრაინაში, კურსკისა და ვორონეჟის ოლქებში შაქრის ჭარხლის ყანებს თვითმფრინავებიდან ქიმიკატების ხსნარს აფრქვევენ. ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში სამოქალაქო ავიაცია ასეთივე წესით ჰაერიდან ამუშავებს ბაღებსა და ვენახებს.

შუა აზიაში თვითმფრინავებიდან წარმატებით დაითესა საქსაული. ჩრდილოეთ კავკასიის, უკრაინისა და ბელორუსიის ზოგიერთ რაიონში ყანებს აფრქვევენ ისეთ ქიმიკატებს, რომლებიც უვნებელია პურეულებისათვის, ხოლო დამლუპველია სარეველებისათვის. (საკდესი).

შეიქმნა ახალი მოჯორები

მოსკოვის ქარხანა „დინამოს“ კოლექტივის წინაშე დაისვა ამოცანა აეთვისებინა ახალი, უფრო მყარი იზოლაციის მქონე მოტორთა წარმოება. დინამოელებს დაეხმარნენ ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო ელექტროტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერები. საწარმოს მუშაკებმა ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად შეიმუშავეს და გამოუშვეს ახალი სახის საიზოლაციო მასალები. ამან შესაძლებელი გახადა ახალი ელექტროძრავების შექმნა, რომლებიც უფრო საიმედოა ექსპლოატაციაში და განირჩევიან მეტი ტენგამძლეობითა და თბოგამძლეობით. (საკდესი).

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს VI სესია

14 მაისს შედგა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მეექვსე სესია. სესიამ განიხილა ქალაქ თბილისის 1952 წლის ბიუჯეტისა და 1951 წლის ბიუჯეტის შესრულების საკითხი. მოხსენება გააკეთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელმა ს. გიორგაძემ. ამავე საკითხზე თანამოხსენებით გამოვიდა საქალაქო საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ა. მელაძე.

როგორც ამხ. ს. გიორგაძემ აღნიშნა, ქალაქ თბილისის 1951 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იყო 287.717 ათასი მანეთის ოდენობით. ფაქტიურად ბიუჯეტის შემოსავალმა შეადგინა 311.222,5 ათასი მანეთი. ამრიგად, შემოსავლის გეგმა შესრულდა 23.505,5 ათასი მანეთის გადამეტებით.

— საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურმა საწარმოებმა დაგროვების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს და ამით გაანაღდეს თავიანთი ვალდებულება ადგილობრივი ბიუჯეტის წინაშე.

1951 წლის ბიუჯეტის გასავალი ფაქტიურად უდრის 295.665,3 ათას მანეთს. ამ საერთო თანხიდან დანახარჯები სახალხო მეურნეობის ღონისძიებათა დასაფინანსებლად შეადგენს 84.178,9 მანეთს, ხოლო სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად — 197.279 ათას მანეთს ანუ მთელი ბიუჯეტის ხარჯების 66,7 პროცენტს. ეს ციფრები მოწმობს, რომ ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

გასული წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების დიდი ნაწილი დაიხარჯა თბილისის კომუნალურ-საბინაო მეურნეობის და კეთილმოწყობის დაფინანსებისათვის, კომუნალურ საწარმოთა მშენებლობისა და გაფართოებისათვის.

სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1952 წლის ბიუჯეტი გასული წლის ბიუჯეტს 6.508 ათასი მანეთით აღემატება. მიმდინარე წლის ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროს, ისევე როგორც წინა წლებში, წარმოადგენს ბრუნვის გადასახადის ანარიცხები. ბიუჯეტის წარმატებით შესრულება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაანაღდებს დედაქალაქის მრეწველობა პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის გეგმებს.

1952 წლის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი დაგეგმილია 294.225 ათასი მანეთის მოცულობით. ამ თანხიდან სახალხო მეურნეობის ღონისძიებათა დაფინანსებაზე დაიხარჯება 74.593 ათასი მანეთი, ანუ მთელი ბიუჯეტის 25,4 პროცენტი. კომუნალურ-საბინაო მეურნეობისა და ქალაქის კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებულია 95.457 ათასი მანეთი.

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილიდან მნიშვნელოვანი თანხები მოხმარდება წყალსადენის, კანალიზაციის ქსელის, ტრამვაი-ტროლეიბუსის მეურნეობის, ელექტროქსელის გაფართოებასა და რეკონსტრუქციას, ისპოლკომის კეთილმოწყობას, თბილისსა და მის მიდამოებში მწვანე მასივების გაშენებას და სხვ.

კომუნალური სახლების კაპიტალური შეკეთებისათვის გათვალისწინებულია 17.897 ათასი მანეთი. უნდა აღინიშნოს, რომ კომუნალური საბინაო ფონდი მძიმე ტექნიკურ მდგომარეობაშია. ეს ავალებს საბინაო მეურნეობის მუშაკებს იზრუნონ გამოყოფილი თანხების მიზანშეწონილად და ეფექტიანად ხარჯვისათვის, რემონტის ხარისხიანად და დროულად შესრულებისათვის.

ცუდად მუშაობს ტრესტი „თბილისმშენი“. ამ სამშენებლო ორგანიზაციამ წარშან გეგმა მხოლოდ 88,4 პროცენტით შეასრულა და სახსრების უყაირათოდ ხარჯვისა და მშენებლობებზე გადახარჯვის გამო სახელმწიფოს მიაყენა 10.644,6 ათასი მანეთის ზარალი. მაგრამ მომხსენებელს, ამხ. გიორგაძეს არ აუხსნია „თბილისმშენის“ ჩამორჩენის მიზეზები, არ უთქვამს, რომ ჩამორჩენა გამოწვეულია ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა და პირველ რიგში ამხ. ა. ჩიტაიშვილის მოუქნელი მუშაობით. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერი სტილი თავს იჩენდა კადრების არასწორ შერჩევაშიც, უუნარო მუშაკთა მექანიკურად გადანაცვლებაში ერთი ადგილიდან მეორეზე. მაგრამ ამ მდგომარეობის აღნიშვნა მომხსენებელს მხედველობიდან „გამორჩა“.

შეეხო რა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხებს, მომხსენებელმა სესიას მოახსენა, რომ მარტო სახალხო განათლებაზე წელს დაიხარჯება 95.048,1 მანეთი, რაც 7.052,4 მანეთით აღემატება ამ საქმეზე შარშან დახარჯულ თანხებს.

1952 წელს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია დაიხარჯოს 6.941,4 ათასი მანეთი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის — 96.097 ათასი მანეთი, ფიზკულტურისა და სპორტის ღონისძიებებზე — 1.750 ათასი მანეთი, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის ხაზით — 1.428 ათასი მანეთი.

შემდეგ მომხსენებელი ეხება სერიოზულ ნაკლოვანებებს ქალაქ თბილისის საფინანსო ორგანოების მუშაობაში, საფინანსო და საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვის მდგომარეობას. საშტატო დისციპლინის სერიოზული დარღვევებია ბერიას რაიონის საბინაო სამმართველოს სარემონტო კანტორაში. აქ განიავებულია 25,5 ათასი მანეთის საშენი მასალა. დარღვევებია აგრეთვე ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სისტემის ორგანიზაციებში, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო კომბინატში, ტრესტ „თელასში“, სასტუმრო „თბილისში“ და სხვაგან. მაგრამ საშტატო-სახარჯთაღრიცხვო და საფინანსო დისციპლინის დამრღვევნი ჯერ კიდევ დაუსჯელი რჩებიან.

სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობით და მიზანშეწონილად გამოყენება საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ქალაქ თბილისის საფინანსო ორგანოებს მართებთ გადაჭრით გააძლიერონ საშტატო-სახარჯთაღრიცხვო და საფინანსო კონტროლი, განახორციელონ ღონისძიებანი სახელმწიფო სახსრების დაცვის უზრუნველსაყოფად, ხოლო დამნაშავე პირთა მიმართ მიიღონ მკაცრი ზომები.

მომხსენებელს რატომღაც არაფერი უთქვამს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების აპარატის ნაკლოვანებებზე, აგრეთვე იმაზე, თუ რა დახმარებას უწევს დედაქალაქის საფინანსო ორგანოებს თბილისის საოლქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი. დეპუტატმა ლ. ელიაშვილმა ილაპარაკა დედაქალაქის სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. ქალაქის ბევრი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება დღემდე კეთილმოწყობილი არ არის, არა აქვს ინვენტარი. მოუგვარებელია ტრანსპორტით უზრუნველყოფის საქმე. დაბალია შესრულებული რემონტის ხარისხი.

ქალაქის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების არასაკმაო ყურადღების გამო საფინანსო-საშტატო დისციპლინის უხეში დარღვევები იყო. საჭიროა დედაქალაქის სამკურნალო დაწესებულებებში სანიმუშო წესრიგი დამყარდეს.

დეპუტატმა ნ. მუჯირმა სესიას აუწყა, რომ ჯერ კიდევ დაბალია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი. არის ნაკლოვანებანი საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებაში. ქალაქის მთელ რიგ სკოლებს არა აქვთ სასწავლო კაბინეტები, სასპორტო ბაზები და დარბაზები. ამხ. მუჯირმა გააკრიტიკა ტრესტი „თბილისმშენი“, რომელმაც ვერ აითვისა სასკოლო მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხები.

თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების მოუქნელ მუშაობაზე ილაპარაკა დეპუტატმა ა. მარტინოვმა. საკოლმეურნეო ბაზრები ვერ ასრულებენ გეგმებს; საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილება ცუდად ხელმძღვანელობს ბაზრებს, არც ვაჭრობის სამინისტროს აინტერესებს მათი მუშაობა. საკოლმეურნეო ბაზრები ქალაქის განაპირა უბნებში კეთილმოუწყობელია. მაგალითად, საბურთალოს საკოლმეურნეო ბაზრის მახლობელ ქუჩებში ტალახი და წუმპე დგება, ნავთლუღის ბაზარი დანაგვიანებულია, არ არის კანალიზაცია, პავილიონები რემონტს მოითხოვს.

საკმაო ყურადღება არ ექცევა საკოლმეურნეო ბაზრებში კადრების შერჩევასა და განაწილებას. ირღვევა ვაჭრობის წესები, ბაზრის დირექტორები ხშირად მფარველობენ უპატიოსნო მუშაკებს. მაგრამ ამხ. მარტინოვის კრიტიკა გაუბედავი იყო. მას არ დაუსახელებია კადრების არასწორი შერჩევისა და დამნაშავეთა მიმართ მფარველობის კონკრეტული ფაქტები.

საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და მისი განყოფილებების სუსტი მუშაობა მკაცრად გააკრიტიკა დეპუტატმა ი. მირიანაშვილმა. მან აღნიშნა, რომ როგორც საქალაქო საბჭოს აღმასკომში, ისე გარეუბნის რაისაბჭოს აღმასკომში კრიტიკა ქვემოდან და თვითკრიტიკა პატივისცემით არ სარგებლობდა. ამან თავისი დაღი დასვა მუშაობას. საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებები მოწყვეტილი არიან ცხოვრებას. საქალაქო საბჭო თავს არ იწუხებს გარეუბნის რაიონის სოფლების კეთილმოწყობისათვის. ეს იმის შედეგია, რომ მუშაობის ძველი, მანკიერი სტილი კვლავ გამეფებულია საქალაქო საბჭოში. ამის გამო ამ ბოლო დროს გარეუბნის რაიონისადმი ხელმძღვანელობა კი არ გაუმჯობესებულა, არამედ, პირიქით, გაუარესდა. ყურადღება არ ექცევა სასკოლო მშენებლობას.

გარეუბნის რაიონის მთელ რიგ სოფლებში არ არის ელექტროსინათლე, რადიო, მოშლილია კავშირგაბმულობა. სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს სარწმუნებულმა საქართველოში რატომღაც გარეუბანში გააუქმა კავშირგაბმულობის რაიონული კანტორა. რაისაბჭოს აღმასკომი შეუფერებელ შენობაშია, მას მოსაცდელი ოთახიც კი არა აქვს. მაგრამ საქალაქო საბჭოს აღმასკომს ეს მდგომარეობა სრულებითაც არ აწუხებს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე დეპუტატებმა კ. ზავრიევმა ე. შარაშენიძემ, ბ. მხეიძემ, ვ. ფხაკაძემ.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. ზამბახიძემ გააკეთა შენიშვნები დეპუტატ მირიანაშვილის გამოსვლის გამო, რომელმაც მოურიდებლად გააკრიტიკა საქალაქო საბჭოს აღმასკომი. მართალია, ამხ. ზამბახიძემ ეს კრიტიკა მიიღო, მაგრამ ზოგიერთ საკითხში არასწორი პოზიცია დაიკავა. მაგალითად, მან განაცხადა, რომ პირველი რიგის ამოცანაა სასკოლო მშენებლობა წარმატებით დავაგვირგვინოთ ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ, როცა ამას მოვათავებთ, შეიძლება გარეუბნის რაიონშიც შევუდგეთ ამ საქმესო. ამხ. ზამბახიძემ დაიგიწყა, რომ დედაქალაქის ყველა რაიონს კეთილმოწყობის მხრივ თანაბარი ყურადღება ესაჭიროება. მისი სიტყვით ისე გამოვიდა, რომ თბილისთან გარეუბნის რაიონის შემოერთების მთავარი მიზანი იყო დედაქალაქის მომარაგება ბოსტნეულით.

ამხ. გიორგაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ სესიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის 1952 წლის ბიუჯეტისა და 1951 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

სესიამ განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები. თბილისის საოლქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგედ დანიშვნის გამო სესიამ დეპუტატი მ. ჩიქობავა გაათავისუფლა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგის მოვალეობისაგან. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგედ სესიამ დაამტკიცა ამხ. ს. გიორგაძე. საქალაქო საბჭოს საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქნა ამხ. შ. გვიჩია. სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო სესიამ აღმასკომის წევრთა მოვალეობისაგან გაათავისუფლა დეპუტატები თ. ქუთათელაძე და მ. ჩიქობავა. სესიამ აღმასკომის შემადგენლობიდან გამოიყვანა ე. ჩერქეზია. აღმასკომის წევრებად არჩეულ იქნენ დეპუტატები მ. მაღრაძე, ნ. სურგულაძე და გ. ჭელიძე.



ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. სურათზე: ხიჩქარის კოლოფის საამქროს სტახანოველი ო. გაბუნია, რომელიც გამომუშავების ნორმებს 250 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ი. საკუნისა

ოთხ თვეში თერთმეტი თვის ნორმა

ცამეტი წელია თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში ვმუშაობ. ჩემი პროფესია ერთობ რთულია, — მე მიხდება დაზგების ფცალების დამამზადებელი იარაღების გალესვა. რამდენიმე წელია ერთდროულად 4 დაზგას ვემსახურები და გამომუშავების ნორმებს მუდამ გადაჭარბებით ვასრულებ. ვადაზე ადრე და გადამეტებით გავანაღდე მეოთხე სტალინური ხუთწლედით გათვალისწინებული დავალება. გასულ წელს ხუთი წლის ნორმა გამოვიმუშავე, ხოლო მიმდინარე წლის ოთხ თვეში თერთმეტი თვის ნორმა შევასრულე. მაისის მეორე ნახევრიდან სამშობლოს პროდუქციას ვაძლევ 1953 წლის ანგარიშში.

სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებით გათვალისწინებული მაქვს, რომ ჩემ მიერ დამზადებული პროდუქციის 80 პროცენტი პირველხარისხოვანი იყოს. მუშაობაში ფართოდ დავნერგე შრომის ნოვატორული მეთოდები და იმას მივაღწიე, რომ აპრილში ჩემ მიერ გამოშვებული პროდუქციის 95 პროცენტი საუკეთესო ხარისხისაა. გავწიე აგრეთვე სალესი ქვის მნიშვნელოვანი ეკონომია.

ჩემს გამოდილებას სისტემატურად ვუზიარებ ახალგაზრდა მუშებს. მარტისა და აპრილის განმავლობაში ქარხნის ახალგაზრდობაში ოთხჯერ მოვაწყე საუბარი ჩემი მუშაობის მეთოდებზე. რამდენიმე ახალგაზრდას შევასწავლე ჩემი პროფესია. ამჟამად ეს ახალგაზრდები რუსთავის მეტალურგიულ, თბილისის ავტომასარემონტო ქარხნებში და ქარხანა „დაზგაში“ მუშაობენ.

მიღწეული წარმატებებით არ დავკმაყოფილდები, მომავალში უფრო მეტ და მაღალხარისხოვან პროდუქციას მივცემ სამშობლოს.

გ. ზარძუა

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის სტახანოველი

ჩაის ღუმელის მექანიკური საწმენდის კონსტრუქცია

ჩაის ფაბრიკებში არსებულ ჩაის ნედლი ფოთლის სახმობ ღუმელს ძრავალი ხაკლი აქვს. ღუმელიდან გამხმარი ფოთლის გამოსაყრელად საჭიროა ღუმელის კარის გაღება და მისი სარდაფის გამოწმენდა. საყურადღებოა, რომ საამქროში, სადაც ეს ოპერაცია ხდება, 70-75 გრადუსი სითბოა. ამას ისიც ემატება, რომ კარის გაღების შედეგად ღუმელიდან გამოდის უფრო ცხელი ჰაერი, რომლის ტემპერატურა 95 გრადუსამდე აღწევს, რაც კიდევ უფრო მაღლა სწევს საამქროში ტემპერატურას და ამძიმებს მუშაობის პირობებს.

ღუმელის ამ წესით გაწმენდას სხვა უარყოფითი მხარეც აქვს. კარის გაღების შედეგად უსარგებლოდ იკარგება ცხელი ჰაერი, რაც თავის მხრივ იწვევს საწვავის გადახარჯვას.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ ნასაკირალის ჩაის ფაბრიკის უფროსმა ინჟინერმა ვ. დვალმა და მექანიკოსმა პ. შრამკომ შეიმუშავეს მარტივი კონსტრუქციის ღუმელის მექანიკური საწმენდი, რომლის საშუალებითაც მუშის ჩაურევლად მექანიკურად წარმოებს ღუმელის სარდაფის გამოწმენდა გამხმარი ფოთლისაგან. ამ ტექნიკური გაუმჯობესების შედეგად თბილი ჰაერი უნაყოფოდ აღარ იხარჯება, ხდება საწვავის ეკონომია, საგრძნობლად დიდდება სახმობი ღუმელების წარმადობა, ღუმელი აღარ მოითხოვს დამატებით მუშახელს და სხვა.

ამხ. დვალისა და პ. შრამკოს ტექნიკური გაუმჯობესება იმითაც არის შესანიშნავი, რომ იგი მარტივია და შეიძლება დამზადდეს ყოველ უბრალო სახელოსნოში.

მექანიკური საწმენდი ჯერჯერობით მოწყობილია ნასაკირალის ჩაის ფაბრიკის მხოლოდ ერთ ღუმელზე.

საჭიროა ტრესტმა „საქართველოს ჩაი“ გულდასმით შეისწავლოს ამხ. დვალისა და პ. შრამკოს ჩაის სახმობი ღუმელის საწმენდის კონსტრუქცია და ფართოდ დანერგოს იგი ჩაის მრეწველობაში.

ვ. ჯაყელი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

საერთო მაჩვენებლების შესახებ

ქარელის რაიონში თავთავიანი მარცვლეული კულტურები, შაქრის ჭარხალი, მებაღეობა-მეხილეობა, მეცხოველეობა წამყვან დარგებს წარმოადგენენ. წელს კოლმეურნეობებში კარგი ჯეჯილი აქვთ.

საერთო მაჩვენებლები არ არის ცუდი. რაიონმა 10 მაისისათვის 7.964 ჰექტარი მარცვლეული კულტურები დათესა ნაცვლად 7.910 ჰექტარისა, მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურები ერთად აღებული, გეგმით გათვალისწინებული 8.650 ჰექტარის ნაცვლად დაითესა 8.699,5 ჰექტარი. დაფარცხულია 7.521 ჰექტარი ჯეჯილი. მაგრამ საერთო კარგი მაჩვენებელი მაშინ არის მოსაწონი, როცა გეგმა სრულდება თვითეულ კოლმეურნეობაში, თვითეულ მტს-ში, საბჭოთა მეურნეობაში, ბრიგადაში, როგოლაში ყველა სახის სამუშაოთა მიხედვით. ამ მხრივ ქარელის რაიონში ყველაფერი რიგზე არ არის. გაჭიანურდა სიმინდის თესვა. შესრულებული არ არის საგაზაფხულო ხვნის დავალება. 200 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 75 ჰექტარი ერთწლიანი ბალახი, სუდანის ბალახი უნდა დათესოს 200 ჰექტარი, დათესეს მხოლოდ 7 ჰექტარი. შესრულებული არ არის კარტოფილის, ბოსტნეულის, საკვები ძირხვეულების, სასილოსე კულტურების თესვის დავალება. მიხდვრად გაზიდულია 45.049 ურემი ნაკელი ნაცვლად 80.000 ურმისა.

საერთო წარმატებებით დატკბობის მიდრეკილება ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. ქარელის მტს-ში საგაზაფხულო სამუშაოთა პირველი კვარტალის გეგმა (რბილ ხვნაზე გადაყვანით) 380 პროცენტზე მეტით შეასრულეს, მაგრამ ამას თან ახლავს ნაკლოვანებანი. მტს-მა 880 ჰექტარის ნაცვლად 567 ჰექტარი სიმინდი დათესა, ხოლო კვადრატულ-ბუდობრივი თესვის დავალება თითქმის ჩაშალა: 200 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 10 ჰექტარი. მტს-ში დღემდე არ არის დაინერგილი საათობრივი გრაფიკით მუშაობა. განა შეიძლება საერთო მიღწევებზე ლაპარაკი, როცა მტს-მა საგაზაფხულო სამუშაოებზე თორმეტ ტონაზე მეტი საწვავი გადახარჯა. პირველმა სატრაქტორო ბრიგადამ „პირველობა“ მოიპოვა 4.146 კილოგრამი საწვავის გადახარჯვით, მეორე ბრიგადამ გადახარჯა 3.812 კილოგრამი. პირველ სატრაქტორო ბრიგადას არ შეუსრულებია სიმინდის, ქერის თესვის გეგმები. დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა მეორე ბრიგადაშიც.

მტს-ში თავს იმშვიდებენ იმით, რომ მოსავლის აღებამდე საკმაო დრო დარჩაო. ამიტომ არ ჩქარობენ კომბაინებისა და სალეწების შეკეთებას. შესაკეთებელ 8 კომბაინიდან დღემდე გამოუშვეს მხოლოდ 5 კომბაინი. დანარჩენის შეკეთება ზანტად მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოფლმომარაგება დიდად არ იწუხებს თავს სათანადო ნაწილებით მტს-ის უზრუნველსაყოფად.

მტს-ის პირველადი პარტიული ორგანიზაცია მართალია, მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავს, მაგრამ დადგენილებათა შესრულებას ბოლომდის ვერ მისდევს. ხშირად დადგენილებები შეუსრულებელი რჩება. მაგალითად, 1952 წლის 20 თებერვალს განიხილეს კომბაინების რემონტის მიმდინარეობის საკითხი, აღნიშნეს ჩამორჩენა, დადგენილებაც მიიღეს, მაგრამ ამას სერიოზული გარდატეხა არ გამოუწვევია. ამიტომ იყო, რომ 16 აპრილს კვლავ განიხილეს კომბაინებისა და სალეწის რემონტის საკითხი, კვლავ მიიღეს დადგენილება, რომ რემონტი დაემთავრებინათ 15 მაისამდე. მაგრამ ეს ვადაც დაირღვა. მტს-ს აქვია კადრები. არა ჰყავს ინჟინერ-მექანიზატორი, მეცხოველეობის დარგში უფროსი მექანიკოსი, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების კონტროლიორ-მექანიკოსი. აღსანიშნავია ისიც, რომ კოლმეურნეობათა ნაწილი ხელს არ უწყობს მტს-ს მუშაობაში. ტრაქტორისტებს კეხიჯვრის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობიდან დიდი [illegible] წლის შ[illegible] დუქტები და ფული.

ზოგიერთი საერთო წარმატებით „ამაყობენ“ ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. მისი თავმჯდომარე ა. ბაბლიძე რაიონის ხელმძღვანელ მუშაკთა შორის დაუმსახურებელი შექებით სარგებლობს. კოლმეურნეობაში კი დაბალია მოსავლიანობა, შეუსრულებელია საგაზაფხულო სამუშაოთა ზოგიერთი დავალება, ირღვევა შრომის დისციპლინა. აქ გეგმით უგრეხელი უნდა დათესულ 10 ჰექტარი, დათესეს 5 ჰექტარი. საკვები ძირხვენების თესვის დავალებაც შეუსრულებელია. 150.000 ძირი ვაზის ნაცვლად დაამყნეს 80.000 ძირი. კოლმეურნეებს ა. ეკაძეს, ა. სანდოძეს, ნ. ავეტისოვს, ე. ხარატიშვილს და მრავალ სხვას დღემდე არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებიათ. კალატოზი ლ. ხარატიშვილი თვითნებურად მუშაობს სხვადასხვა ორგანიზაციებში, კოლმეურნეობაში კი დღემდე არც ერთი შრომადღე არაა აქვს გამომუშავებული. კოლმეურნეობის გამგეობა და მისი თავმჯდომარე ა. ბაბლიძე ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი იმით, რომ დატაცებისაგან დაეცვათ საკოლმეურნეო მიწები. ამას ისიც მოწმობს, რომ მხოლოდ პარტიის რაიკომის ჩარევის შემდეგ 1952 წლის 15 აპრილს ჩამოაჭრეს მიტაცებული მიწები 23 კაცს. წელს კოლმეურნეობაში მოჭრეს 13 ძირი თუთის ხე. მტსისა და რაიაბრეშუმის აგრონომებმა ამაზე სათანადო აქტი შეადგინეს, მაგრამ დამნაშავისათვის დღემდე პასუხი არ მოუთხოვიათ.

წელს სოფელ დირბის, არადეთის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში ათეულ ჰექტარობით მიტაცებული მიწები დაიბრუნეს. ამით კარგი საქმე გაკეთდა. მაგრამ ზოგან კარგად არ შეისწავლეს საკითხი და უსამართლოდ ჩამოაჭრეს მიწები. მაგალითად, არადეთის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობაში ისე ზუბაშვილი, თანახმად ზონარგაყრილი წიგნისა, ფლობდა 0,70 ჰექტარს, მისი გარდაცვალების შემდეგ მის მეუღლეს, რომელიც კოლმეურნეობაში მუშაობს, დაუტოვეს 0,15 ჰექტარი. კოლმეურნე ოლღა მაისურაძე 1939 წლიდან ფლობს 0,39 ჰექტარს, ახლა უკანონოდ ჩამოაჭრეს 0,24 ჰექტარი. უცნაურია, მაგრამ ამ დამახინჯებათა შესახებ არავითარ ზომებს არ იღებენ პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი.

მოწინავე კოლმეურნეობათა გვერდით არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობები. ქვემო ხვედურეთის კოლმეურნეობამ 43 ჰექტარის ნაცვლად 26 ჰექტარი სიმინდი დათესა, სოფელ ღვლევის კოლმეურნეობამ—54 ჰექტარი ნაცვლად 80-სა. ამ კოლმეურნეობას სრულიად არ დაუთესია ერთწლიანი ბალახები, საკვები ძირხვენები, ვერ შეასრულა ჯეჯილის გამოკვებისა და ნაკელის გატანის დავალება. მსგავსი მდგომარეობაა ქვენაფლავის, ზემო ხვედურეთის, თრეხვის, კეხიჯვრის და სანებლის კოლმეურნეობებში.

ამ კოლმეურნეობათა ჩამორჩენა არ შეიძლება ავხსნათ მარტო ცუდი ამინდით. ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მათმა ხელმძღვანელებმა ხელსაყრელი ამინდი ხელიდან გაუშვეს, არ დარაზმეს ყველა კოლმეურნე გეგმის შესრულებისათვის. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ქმედითი დახმარება ვერ გაუწიეს ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა (მდივანი ი. რთველიაშვილი) და რაისაბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ვ. წიკლაური) მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, უზრუნველყონ ყველა სახის გეგმების შესრულება თვითეულ კოლმეურნეობაში, მტს-ში, საბჭოთა მეურნეობაში.

ნ. ჯანჯღავა

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

ცხვარი დაიძრა იაღაღებისაკენ

ათეულ ათასობით ცხვარს მიერეკებიან საზაფხულო იაღაღებზე. წოთელწყაროს რაიონის კოლმეურნეობები. მოწინავე კოლმეურნეობებმა რძის მიღების ნახევარი წლის გეგმა უკვე შეასრულეს.

ახლა წყდება მიღებული ნამატის შენარჩუნების ბედი. ნაყოფიერად მუშაობენ სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები — არბოშიკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის მწყემსები, ბრიგადირები და სპეციალისტები. აქ წელს 10 ათასი ბატკანი მიიღეს. მოწინავე ბრიგადებმა, რომლებსაც არჩილ და ლადო ბაღაშვილები, მ. ხუციშვილი და ვ. ნანობაშვილი ხელმძღვანელობენ, ცხვარი დაძრეს თრიალეთისაკენ. მწყემსები დ. ხუციშვილი, გ. ტეტელოშვილი, ნ. ბასილაშვილი და ლ. ბაღაშვილი ცხვრის მგზავრობისას კარგად აწყობენ გარდამავალ საძოვრებზე პირუტყვის გამოკვებას. მათ ვალდებულება ოვისრეს ყოველი ცხვარი და ბატკანი ჯანმრთელად გადარეკონ ახალ საძოვრებზე. 140 არბოშიკელი მწყემსი 31 ათას ცხვარს მიერეკება ზამთრის საძოვრებიდან მთიანეთის საძოვრებისაკენ. მათი ვალდებულებაა წელს რძის მიღება გაზარდონ 20-30 პროცენტით, მატყლისა — 40 პროცენტით, 98 პროცენტით შეინარჩუნონ ნამატი.

კარგად გამოზამთრებული ცხვარი გაგზავნეს საზაფხულო საძოვრებზე სოფელ გამარჯვების ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსებმა გ. სულაშვილმა, გ. პოპიაშვილმა, გ. ივანიძემ, ი. ხუციშვილმა და მ. თედორაძემ.

კავკასიონის მთებისაკენ დაიძრა სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ათასობით სული ცხვარი. იმ ბრიგადის წევრებმა, რომელსაც კედელაშვილი და პ. ქურციკიძე ხელმძღვანელობენ, გადაწყვიტეს, რომ პირველნი ავიდნენ კავკასიონის მთის კალთებზე.

გ. ყაჯრიშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მზრუნველობით უვლიან შაქრის ჭარხალს

ხაშური. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებში შაქრის ჭარხლის ნათესებს 1.100 ჰექტარი უჭირავს. წელს ჭარხლის მთესველმა კოლმეურნეობებმა მაღალხარისხოვნად და მთლიანად მზრალად მოხნულ ნიადაგში დათესეს შაქრის ჭარხალი. ამიტომ ჭარხალი ყველგან კარგად არის აღმოცენებული და განვითარებული.

ზემო ოსიაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღების კარგი გამოცდილება აქვთ. კოლმეურნეობის მერგოლური, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ელენე ენჯიბაძე იბრძვის 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 800 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მიღებისათვის.

ზემო ოსიაურელმა კოლმეურნეებმა უკვე დაამთავრეს შაქრის ჭარხლის ნათესების მწკრივთა შორის პირველი მსუბუქი გაფხვიერება 45 ჰექტარ ფართობზე. ჭარხლის პლანტაციის გარშემო შემოავლეს მავნებელთა საწინააღმდეგო თხრილი.

ბრაზილიის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია საქართველოში

საქართველოში რვა დღეს იმყოფებოდა ბრაზილიის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია. სტუმრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებსა და ისტორიულ ძეგლებს, იყვნენ სართავსატრიკოტაჟო კომბინატში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ავლაბრის ყოფილ არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბაში, სკოლაში, საავადმყოფოში, ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

ბრაზილიის კულტურის მოღვაწენი შეხვდნენ საქართველოს მწერლებსა და კომპოზიტორებს. მათ გვირგვინით შეამკეს საქართველოს გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის ძეგლის კვარცხლბეკი.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დელეგაციის წევრები დაესწრნენ სპექტაკლ „ქეთო და კოტეს“, თბილისის ხელოვნების ისტატთა კონცერტს, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი რუსი მსახიობის ა. ვ. ნეჟდანოვას წსოვნას.

დელეგაცია გაემგზავრა გორში — ამხანაგ ი. ბ. სტალინის სამშობლოში და საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში. დელეგაცია ესტუმრა აგრეთვე აფხაზეთს.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ა. გოგუაძემ სტუმრების პატივსაცემად დარბაზობა გამართა. დარბაზობას დაესწრნენ მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი, საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დელეგაციის მეთაურის მოადგილემ, გამოჩენილმა ადვოკატმა სილვან პალმეირამ საქდესის კორესპონდენტს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი, მიღებული საქ

ავითვისეთ ახალი მანქანის წარმოება

ბათუმის ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ომის შემდგომ წლებში აითვისა და გამოუშვა კვების მრეწველობის მთელი რიგი რთული და უახლესი ტიპის მანქანები. წელს ბათუმელ მანქანათმშენებელთა წინაშე ამ დარგში სერიოზული ამოცანები დგას.

ამჟამად ქარხნის კონსტრუქტორების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და სტახანოველების შემოქმედებითი აზრი მიმართულია რამდენიმე ახალი მანქანის ათვისებისაკენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს დავალება მიმდინარე წელს ღვინის მრეწველობისათვის ავტომატური ჩამომსხმელი დანადგარის შექმნის შესახებ, რომელიც ამ ტიპის არსებული მანქანებისაგან უნდა გამოირჩეოდეს საუკეთესო ხარისხით, მუშაობის მოხერხებულობით, სიმარტივით და მაღალი წარმადობით. ეს ახალი მანქანა შედგება 5 ავტომატისაგან. იგი შეიცავს ბოთლის სარეცხ, ჩამომსხმელ, დამცობ, ეტიკეტის დამწებებელ და დამლუქავ ავტომატებს. ბოთლების დატვირთვა-გადატანა წარმოებს კონვეიერის საშუალებით მუშის ჩაურევლად. მანქანის ღირსებას ისიც შეადგენს, რომ შეფერხების დროს იგი ავტომატურად გამოირთვება და ჩერდება. მოფიქრებულად არის მოწყობილი აბაზანების ტემპერატურული რეჟიმი.

მანქანის საექსპერიმენტო ეგზემპლარის შექმნას ქარხნის კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა. წინასწარ გაწეულ იქნა სერიოზული ორგანიზაციულ-ტექნიკური მზადება, შედგა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სტახანოველების სპეციალური თათბირი, რომელზეც დეტალურად განიხილეს მანქანის ნახაზები და მუშაობის პრინციპი.

მანქანის დამამზადებელთა შორის ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ამ დღეებში ქარხნის ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადამ, რომელსაც ნ. ფილიპოვი ხელმძღვანელობს, დაამთავრა ბოთლის სარეცხი ავტომატის აწყობა. ახალ მანქანაში აღმოფხვრილია მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომლებიც ამ ტიპის ძველ მანქანებს ჰქონდა.

ახალი მანქანა გაცილებით უფრო მსუბუქი და მაღალი წარმადობისაა, 40 მუშას ცვლის. წარმატებით მოეწყო ბოთლების სარეცხი ავტომატის საქარხნო გამოცდა.

ამ დღეებში ქარხნის საექსპერიმენტო საამქრო დაამთავრებს მანქანის მეორე ავტომატის აწყობას. მზადდება აგრეთვე საცობის დამცველი ავტომატი.

აღსანიშნავია მანქანის ნაწილების დამზადებასა და აწყობაზე მომუშავე სტახანოველთა ენერგიული და მაღალნაყოფიერი შრომა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან ზეინკლები ი. კოროვკინი და ა. ქიქიკინი, ამწყობ ზეინკალთა ბრიგადები ნ. ფილიპოვისა და გ. პეტრენკოს ხელმძღვანელობით.

გ. ბოკბოძე

ბათუმის ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის საექსპერიმენტო საამქროს უფროსი

ჩქაროსნული ნადნობი

რუსთავი. ამ დღეებში ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადემ ივანე მუხინმა მესამე ღუმელიდან ნადნობი გამოუშვა მიმდინარე წელს სარეკორდო მოკლე ვადაში — 8 საათსა და 5 წუთში, ნორმით კი განსაზღვრულია 10 საათი და 30 წუთი. მოწინავე ჩქაროსან მუხინთან ერთად რუსთავში ფართოდ ცხობილია ფოლადის დნობის ჩქაროსანი ოსტატების შალვა კუხალეიშვილის, ილია ლაზარიაშვილის, გიორგი სიგუასა და სხვების სახელები. ქართველმა მეფოლადეებმა უკრაინელი ნოვატორი მეფოლადის სიმონ იაკიმენკოს თაოსნობით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ყველა ნადნობის ჩქაროსნული მეთოდით გამოშვებისათვის. ამის შედეგად მარტენის ღუმელის ქვედის ერთ კვადრატულ მეტრზე ლითონის გამოშვება საამქროში შარშანდელთან შედარებით საშუალოდ ერთი-ერთნახევარი ტონით გადიდდა.

ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ასობით ტონა ფოლადი. ქართველი მეფოლადეები ინარჩუნებენ საპირველმაისო შეჯიბრების წარმატებებს და მაისის 10 დღეში 24 ჩქაროსნული ნადნობი გამოუშვეს.

მოწინავე ფოლადმდნობელებმა ბევრი ტექნიკური სიახლე შემოიღეს. ისინი ნაზავის ჩაყრას უხამებენ ნაზავის შეხურებას, დნობას — საბოლოო დამუშავებას, ზოგავენ ბევრ თუჯს, ფეროშენადნობს, საწვავს. გამოდნობის ვადის შემცირებაში დიდი როლი შეასრულა ნაზავსაყრელი მანქანის მემანქანის რომან ცაბუტაშვილის მეთოდით ნაზავჩაყრის მოწინავე ტექნიკის დანერგვამ. (საქდესი).

მოწინავე საწარმოები

ქუთაისი. (საკ. კორ.). მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის რიონის ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივი გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

ამ დღეებში შედგა ელექტროსადგურის კოლექტივის საზეიმო კრება, რომელზეც სსრ კავშირის ელექტროსადგურების მინისტრის მოადგილემ ამხ. ი. უგორეცმა რიონჰესის დირექტორს ამხ. გ. დოლიძეს საზეიმო ვითარებაში გადასცა გარდამავალი წითელი დროშა.

ბორჯომი. (საკ. კორ.). ბორჯომის შუშის ქარხანამ მზა პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა 104,2 პროცენტით შეასრულა, დაზოგა საწვავი და ელექტროენერგია, გაადიდა შრომის ნაყოფიერება და შეამცირა თვითღირებულება. მოპოვებული წარმატებისათვის საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ ქარხანას მეათედ მიაკუთვნეს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ამას წინათ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე კოლექტივს გარდამავალი წითელი დროშა გადასცა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრმა ამხ. ი. წიკლაურმა.

ეროვნული მაღაროს ფიზკულტურელთა სპარტაკიადა

თბილისში ფიზკულტურელთა სპარტაკიადა მიმდინარეობდა. შეჯიბრებაში ჭიათურელი მაღაროელებიც მონაწილეობდნენ. ბირთვის კვრაში მაყურებელთა ყურადღება მიიქცია ბრგე ჭაბუკმა უშანგი ტეფნაძემ. მან ყველას გაუსწრო და საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ამხ. ტეფნაძე ჭიათურელი ინჟინერია. იგი ლენინის სახელობის მაღაროს უბნის უფროსია. უნარიანად უძღვება უბანს და დახელოვნებული ფიზკულტურელიც არის. ფიზკულტურის სხვა სექციებშიც მუშაობს და ოსტატობით გამოირჩევა. იგი სულ უფრო სრულყოფს თავის ოსტატობას. მან თავისი გამოცდილება გაუზიარა მებიგე შ. თურმანიძეს და ელექტრომავლის მემანქანე შ. ერაძეს.

ლენინის სახელობის მაღაროში სერიოზული ყურადღება ექცევა ფიზკულტურულ მუშაობას. აქ ორასზე მეტი მაღაროელი გაერთიანებულია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ძალოსნობის, ჭადრაკის, ცურვის სექციებში.

მაღაროს ფიზკულტურულმა კოლექტივმა შარშან „მეტალურგის“ ხაზით ორჯერ მოიპოვა საკავშირო მეორე ადგილი, მიიღო სიგელები და ფულადი პრემია.

მაღაროს ფრენბურთელებმა, მძლეოსნებმა და ძალოსნებმა საქალაქო შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს. საქალაქო პირველობაზე შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოვიდნენ მაღაროს ფეხბურთელები და მოჭადრაკეები. ამ მაღაროს მადნის გამაუხვებელი ფაბრიკის ინჟინერი ა. იასენეკი პირველი კატეგორიის მოჭადრაკეა. მან ახლახან საქალაქო შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა და 1952 წლისათვის ქალაქის ჩემპიონი გახდა. ამავე მაღაროში ზეინკლად მუშაობს პ. ოვანოვი, რომელიც კარგი ფეხბურთელი და მოჭადრაკეც არის. იგი ხშირად მონაწილეობს ქალაქის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში, ხოლო მიმდინარე წლის თებერვალში, როცა „მეტალურგის“ ხაზით საქალაქო შეჯიბრება მიმდინარეობდა ჭადრაკში, პ. ოვანოვმა მთელი ტურნირი წაუგებლად ჩაატარა, 20 პარტია მოიგო და დამსახურებულად პირველ ადგილზე გამოვიდა.

სტახანოვური შრომით გამოირჩევა ელმავლის მემანქანე ბიძინა გაბარაშვილი, რომელიც უწუნოდ და უავარიოდ მუშაობს, შეუფერხებლად ეზიდება მაღაროდან მადანს. ბ. გაბარაშვილი ფიზკულტურასაც მისდევს, ფეხბურთელთა გუნდში საიმედო დამცველია, ხოლო სიმაღლეზე ხტომაში ბევრი ვერ სჯობნის.

დახელოვნებული მონტიორი მიხეილ ფარცვანია ამაკე დროს წარჩინებული ფიზკულტურელია. მას მთელ ქალაქში იცნობენ როგორც ფეხბურთელთა გუნდის უნარიან მეთაურს. საქალაქო შეჯიბრებაზე არა ერთი მაყურებელი გაუკვირვებია ყუმბარის ტყორცნითა და სიმაღლეზე ხტომით.

ფეხბურთელთა გუნდში წამყვანი მოთამაშეები არიან მებიგე ოთარ ჯაფარიძე, ელექტრომონტიორები გ. ჩაჩანიძე და ზ. ყიფშიძე. მათ არაერთხელ უსახელებიათ თავისი გუნდი.

მაღაროელ მძლეოსნებში ტოლი არა ჰყავს პირველ თანრიგოსანს, ელმავლის მემანქანეს ი. წერეთელს. დიდ მანძილზე რბენაში მას საქალაქო პირველობაც მოუპოვებია.

დახელოვნებული მოცურავენი არიან ზეინკალი შ. გაფრინდაშვილი, მონტიორი მ. გაფრინდაშვილი და კ. ავალიანი. ამ მაღაროს მოცურავეთა გუნდმა პირველი ადგილი მოიპოვა მაღაროებს შორის გამართულ შეჯიბრებაში, ხოლო ქალაქის პირველობაზე — მეორე ადგილი.

კარგი ფიზკულტურელები არიან აგრეთვე მაღაროს წარჩინებული ადამიანები სტახანოველი მბურღავი გ. შეულაშვილი, ამწმენდი დ. კილაძე, მონტიორი პ. პროშინი, ამწმენდი ი. არჯევანიძე და სხვ. ისინი წარმოებაშიც სანიმუშონი არიან, დავალებებს 150-180 პროცენტით ანაღდებენ.

მაღაროს ფიზკულტურული კოლექტივი (ხელმძღვანელი კ. ავალიანი) ყოველთვის წარმატებით ასრულებს ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების დავალებებს. ფიზკულტურულ კოლექტივს აქვს სასპორტო საზოგადოება „მეტალურგის“ ორი საკავშირო სიგელი, ექვსი გუნდური სიგელი, ხოლო 21 ფიზკულტურელმა მიიღო ინდივიდუალური სიგელი.

მაღაროელი ფიზკულტურელები უკვე კარგახანია გავიდნენ მოედნებზე. ისინი საუკეთესო მომზადებას ამჟღავნებენ, იბრძვიან, რათა დაიცვან მაღაროელთა სასპორტო ღირსება.

მაღაროელ ფიზკულტურელებს აღნიშნულ წარმატებათა განმტკიცებაში უკეთ უნდა დეხმარონ მაღაროს ორგანიზაციები და სასპორტო საზოგადოება „მეტალურგის“ საქალაქო საბჭო.

პ. ჭიოკაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მაღაზია

1952 წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა თბილისის მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 4 მაღაზიამ (დირექტორი ამხ. გუგუშვილი).

აღნიშნულ მაღაზიის მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა.



სურათზე: კოლონადა სუხუმის მთაზე. ფოტო ვ. ვახტანგაძისა

ალმოვფხვრათ საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის შემთხვევები

ბათუმის სავაჭრო ქსელის ბევრი მუშაკი ენერგიულად იბრძვის საქონელბრუნვის გეგმების შესრულებისა და საბჭოთა კულტურული ვაჭრობის გაშლისათვის. მიუხედავად ამისა, ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი და კულტურული ვაჭრობის წესების უხეში დარღვევა.

მოლოტოვის ქუჩის № 20-ში მდებარე აჭარავაჭრობის მაღაზიის (გამგე შ. გუგუშვილი) № 1 ფარდულის გამყიდველ დ. სეფიაშვილს ადგილზე არ აღმოაჩნდა ზოგიერთი საქონლის ფაქტურები. ამასთან ოდი უხეშად არღვევდა სახელმწიფო ფასებს. დ. სეფიაშვილი 2 მანეთად და 29 კაპიკად ღირებულ ბავშვის წინდებს 3 მანეთად და 60 კაპიკად ყიდდა, ხოლო ქალის უბრალო წინდებში მომხმარებელს 2 მანეთითა და 70 კაპიკით მეტს ახდევინებდა. ამავე მაღაზიის გამყიდველმა ბ. იაკობაშვილმა შამაკაცის მეორე ხარისხის ფეხსაცმელი, რომელიც 129 მანეთი და 20 კაპიკი ღირს, 136 მანეთად გაყიდა.

უფაქტურო საქონლით ვაჭრობენ არტელ „ინშრომის“ № 2 სასაუზმეში და „საზღვაო ვაჭრობის“ ბათუმის განყოფილების სავაჭრო ქსელში. აქ დიდი რაოდენობით შემოზიდეს უფაქტურო „ზმეიკები“. ამ საქონლის შემოზიდვისა და გაყიდვის ინიციატორები არიან „საზღვაო ვაჭრობის“ № 9 მაღაზიის ყოფილი გამგე (ამჟამად № 6 მაღაზიის გამგე) ვ. მიმინოშვილი და გამყიდველი გ. მახარაძე.

იშვიათი როდია, რომ სავაჭროთა მუშაკები მომხმარებლებს წონა-ზომაში ატყუებენ, არ უბრუნებენ ხურდას.

„აჭარავაჭრობის“ № 4 მაღაზიის გამგე-გამყიდველმა ა. მუსერიძემ მომხმარებელ ე. ზამეტინას დააკლო 10 გრამი კარაქი და 21 კაპიკი ხურდა ფული. მან კუთვნილი ხურდა არ დაუბრუნა აგრეთვე მოქალაქე მ. ჭანიძეს.

სასტუმრო „ინტურისტის“ (მოლოტოვის ქ. № 28) კაფეს მებუფეტეები ზ. მესხი და მ. გურგენიძე მომხმარებლებს ხშირად ატყუებენ წონა-ზომაში. ზ. მესხმა ს. სურმანიძეს ნორმაზე ნაკლები ლუდი მიაწოდა, ხოლო ასს გრამ არაყზე 12 გრამი დააკლო. მ. გურგენიძემ კი 150 გრამი არყის ნაცვლად მომხმარებლებს 132 გრამი მიაწოდა. „ინტურისტის“ წყლის კიოსკის გამგე-გამყიდველმა მ. აჯიაშვილმა 30 გრამის ნაცვლად მომხმარებელს 18 გრამი სიროპი ჩამოუსხა.

მომხმარებლებს სისტემატურად ატყუებენ ზომა-წონაში აგრეთვე ბათუმის „საზკვებტრესტის“ № 6 სასაუზმის, „აჭარავაჭრობის“ № 207 წყლის კიოსკის, ბათუმის „საზღვაო ვაჭრობის“ № 11 მაღაზიის გამყიდველები: მურვანიძე, ხაჩიკიანი, ა. სიმონიანი.

„აჭარკოოპკავშირის“ მახინჯაურის № 1 მაღაზიაში საქონელზე ფასების აღნიშვნას ყურადღებას არ აქცევენ. შემოწმებისას აქ ფასის მაჩვენებელი არ აღმოაჩნდა საბნებს, სკამებს, სარკეს, პატეფონებს, რკინის ნაწარმს და სხვა. ეს მდგომარეობა მაღაზიის არაკეთილსინდისიერ მუშაკებს მომხმარებლის მოტყუების საშუალებას აძლევს. გამყიდველმა ი. ხუტოველმა იცოდა, რომ მას ამოწმებდნენ, მაგრამ მომხმარებელი მ. ბერიძე მაინც მოატყუა.

განსაკუთრებით ხშირია ვიოლინების მოტყუება. შემთხვევა აქვს ვაჭრობის პურის სავაჭრო წერტილში. № 118 პურის სავაჭროს გამგე-გამყიდველმა მ. უდალოვმა მომხმარებელ მ. დიასამიძეს 50 გრამი პური დააკლო, ხოლო როცა მას დანაშაულზე წაასწრეს, უხეშობა გამოიჩინა. № 119 პურის წერტილის გამყიდველმა ვ. ჭანტურიამ მომხმარებელ ა. აბულაძეს (ხულოს რაიონის მცხოვრები) დააკლო 1 მანეთი და 30 კაპიკი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის სანიტარული ინსპექცია იშვიათად ამოწმებს სავაჭრო ობიექტებს, რის შედეგად მთელ რიგ სავაჭროებში უსუფთაობაა, კვების პროდუქტები დამტვერიანებულია. სანიტარულ წიგნაკებს დროზე არ ამოწმებენ. აჭარავაჭრობის № 3 სასურსათო მაღაზიის გამყიდველები თ. სარჯველაძე და ვ. ლეონიძე მომხმარებელს არ ემსახურებიან კულტურულად. შემოწმებისას მაღაზიაში მათ გადამალული აღმოაჩნდათ შაქარი. პროდუქტებს ყიდდენ შეუმოწმებელი საწონებით, ხოლო ვიტრინები დამტვერიანებული აღმოჩნდა. ქედის რაიონის საკოლმეურნეო სავაჭროში (გამგე-გამყიდველი ო. დავითაძე) აგრეთვე დაცული არ არის სისუფთავე. სავაჭროს სანიტარული შემოწმება წელიწადზე მეტია არ მოწყობილა.

სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და მაღაზიის გამგეები ხშირად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საჩივრის წიგნების წარმოებას. მთელ რიგ სავაჭროებში საჩივრის წიგნებში ჩაწერილ მშრომელთა საჩივრებზე პასუხს არ აძლევენ. მოლოტოვის ქუჩაზე მდებარე „სამტრესტის“ № 15 მაღაზიის საჩივრის წიგნში მშრომელთა მრავალი საჩივარი უყურადღებოდ არის დატოვებული. ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ იქ ვაჭრობის წესებს უხეშად არღვევენ. მაღაზიის გამყიდველმა ფ. გოგიტიძემ მომხმარებელ ე. დუმბაძეს ერთ კილოგრამ შაქარზე 40 გრამი დააკლო. მასვე გადამალული აღმოაჩნდა მაკარონი, ხოლო მომხმარებლებს უარით ისტუმრებდა.

არის იმის ფაქტები, რომ თვით ფაბრიკა-ქარხნები არღვევენ ზოგიერთი სამრეწველო საქონლის სახელმწიფო ფასებს. მაგალითად, თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მიერ გამოშვებული ბავშვთა ფეხსაცმელი „პარკო“ (არტიკული № 4.280) ქსელში იყიდება 1 მანეთისა და 70 კაპიკის გადამეტებით. გამსაღებელი და სავაჭრო ორგანიზაციები არ ამოწმებენ საქონლის ფასებს და ისე უშვებენ სარეალიზაციოდ.

ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ბათუმის სავაჭრო ქსელში დღემდე აღმოფხვრილი არ არის საბჭოთა ვაჭრობის უხეში დარღვევის შემთხვევები. სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და რევიზორ-ინსპექტორები სუსტ ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევენ სავაჭრო ქსელის მუშაობას, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ დახლის მუშაკების შერჩევისა და აღზრდის საქმეს.

ბათუმის სავაჭრო ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრან სავაჭრო ქსელში არსებული ნაკლოვანებანი, ფართოდ გაშალონ საბჭოთა კულტურული ვაჭრობა.

რედის მონაწილენი: გ. ლოლაძიფანიძე, მ. ვარშანიძე, ნ. ჩხარტიშვილი, დ. კაიჭაძე.

გაზაფხული ქალაქ-ბაღში

წყნარი და უშფოთველი ტალღებით ეთამაშება ნაპირებს შავი ზღვა; ნელა, სულ ნელა ირწევიან ნაირფერად შეღებილი ნავები, და მწვანეში ჩამჯდარი თეთრი და ლამაზი შენობები თვალისმომჭრელად ელვარებენ მზეში...

სუხუმის მთა, ადრე, ორი წლის წინათ ხრიოკი იყო და თვალს ეჩოთირებოდა მიხი ხილვა, ახლა სიცოცხლედამკვიდრებული სამკაულივით ამკობს ქალაქს... ორი წლის წინათ ამ ვეებერთელა მთაზე ბალახის სახსენებელიც არ იყო, წელს კი მაისში ამ მთაზე ზომაზე მეტად წამოზრდილა ბალახი. ...ასე გარდაქმნის საბჭოთა ადამიანის მარჯვენა ბუნებას!

დიდი და სასახელო შრომა გასწიეს სუხუმელებმა ამ მთაზე ტყე-პარკის გასაშენებლად.

წყურვილი კლავდა სუხუმის მთას — და სუხუმის მშრომელებმა წყალი ამოიყვანეს მთაზე;

ხე არ იდგა — და ახლა სუხუმის მთის ტყე შრიალებს;

გზა არ იყო — და ახლა მთაზე მოასფალტებული გზა არის. ყოველდღიურად მებაღე დიდი სიყვარულით უვლის ამ ხეივნებს, ამ მოშრიალე ტყეს და მობიბინე ბალახს, ნაირფერ ყვავილებს, მიმოზებსა და პალმებს. მას სასხლავი უჭირავს ხელში და ხალისიანად დაბიჯებს ხეივნიდან ხეივანში, სკვერიდან სკვერში...

საუცხოო სამზერია სუხუმის მთიდან — ხელისგულივით ჩანს ზღვის სანაპიროზე გაშენებული ქალაქი-ბაღი: აღმოსავლეთიდან დასავლეთით ქალაქი დასერილია სწორი ქუჩებით — ზღვისპირს მიჰყვება რუსთაველის პროსპექტი. მას მხარს უმშვენებენ სტალინის, კიროვის, ბერიას, კაგანოვიჩისა და კუიბიშევის სახელობის ქუჩები, ხოლო ამ ქუჩებს მთიდან ზღვამდე ჩრდილოეთიდან სამხრეთით თანაბარ მანძილზე კვეთავენ ქუთაისის, წერეთლის, ენგელსის, თეატრალური, ლენინის, ფრუნზეს, მოლოტოვის, მალენკოვის, ლესელიძის, ორჯონიკიძისა და სოჭის ქუჩები. ყოველი ქუჩა ასფალტით, სკვერებით, გაზონებით და ლამპიონებით არის დამშვენებული.

ადამიანის თვალს ხიბლავს და გულს ატკბობს ეს სილამაზე.

* * *

ზღვის ნაპირის ახლოს, რუსთაველის პროსპექტზე ამ დღეებში ხარაჩოები ჩამოხსნეს სუხუმის დრამატული თეატრის შენობას და ქალაქი უფრო დამშვენდა. ზღვის მწვანე ფონზე აღმართული მაღალი თეთრი შენობა განსაკუთრებულ სილამაზეს ქმნის. შიდამოწყობილობითა და ჩუქურთმებით სუხუმის თეატრი მეტად თავისებურია. სადარბაზო შესასვლელის, თაღების, მოაჯირების, კარ-ფანჯრის ჩუქურთმები ყველა სხვადასხვანაირად იკითხება, ყოველ ჩუქურთმაში სხვა ჩუქურთმისაგან განსხვავებული აზრია ჩაქსოვილი. თანაც ეს სხვადასხვაობა თვალს როდი ჭრის, არამედ ქართული სტილის ცხოველმყოფელობას, თავისებურებას და თავისთავადობას ადასტურებს. ეს არქიტექტორ მიხეილ ჩხიკვაძის დიდი მიღწევაა. თეატრის დარბაზი რვაასადგილიანია, და სადაც უნდა დაჯდეთ — პარტერის ბოლო რიგებში, თუ მეორე იარუსის ლოჟებში, ყოველთვის თავისუფლად ხედავთ სცენას. ასევე თავისუფლად მოაღწევს თქვენამდე მსახიობის ხმა.

მაღე სუხუმის დრამატული თეატრის კოლექტივი თავის დეკორაციებს ამ ახალ შენობაში გადაიტანს და სუხუმის მშრომელები ამაყად შეაღებენ კარს მათ მიერვე აშენებულ დიდებულ თეატრში.

...საქართველოს გზატკეცილზე გაცხოველებული მუშაობაა გაჩაღებული. ალაგ-ალაგ გზონებით გაიყო და ავტოსტრადის მეტად თავისებურ სახეს წარმოადგენს. გზატკეცილი მრავალწლიანი ნარგავებით და ყვავილებით არის შემკობილი, უკვე ჩრდილს ფენენ გზის პირად ჩამწკრივებული კედარი, კვიპაროსი, ნაძვი, მიმოზა და ევკალიპტი... მთავრდება კელასურის რკინიგზის ახალი სადგურის მშენებლობა. მისი ბაქანი საგრძნობლად გაფართოვდა, ხოლო სადგურის შენობასა და გზატკეცილს შუა ვრცელი მოედანი მოწყო. ქალაქ სუხუმს ახლა რკინიგზის სამი პირველხარისხოვანი სადგური აქვს: ქალაქის მთავარი სადგური, რომლის შესადარი იშვიათად თუ მოიძებნება ამიერკავკასიის რკინიგზაზე. ეს ნათელი და მაღალკოშკურიანი შენობა შორიდანვე ხიბლავს ადამიანს. თეთრი, მრგვალი სვეტებით და ორიგინალური ჩუქურთმებით შემკობილი ნაგებობა ხალისიან, საზეიმო განწყობილებას ქმნის; ქალაქის შუაგულში, ლენინის ქუჩის ბოლოში — ბარათაშვილის სახელობის სადგურია, რომელიც ასევე თავისებურია არქიტექტურული გაფორმებით, და კელასურის სადგური, რომელიც ათითხუთმეტი დღის შემდეგ ჩადგება მწყობრში.

* * *

უჩვეულოდ გაიზარდა ქალაქის მშრომელთა კულტურული მოთხოვნილება: კინოდარბაზები, თეატრი, ფილარმონიის საზაფხულო თეატრი, საკონცერტო დარბაზები მუდამ სავსეა მაყურებლებით. ეს ჩვენი მუშები, კოლმეურნეები, ინჟინრები, მასწავლებლები და ექიმები ესწრებიან ლექციებსა და საუბრებს, ეწაფებიან წიგნს. მათ ბუნებრივ მოთხოვნილებად გადაექცათ ახალი კინოფილმებისა და თეატრალური დადგმების ნახვა. ქალაქ სუხუმში კულტურული ცხოვრება ჩქეფს: ახალ და მაღალმხატვრულ სპექტაკლებს დგამს სუხუმის დრამატული თეატრის ნიჭიერი კოლექტივი, ახალ-ახალ სურათებს უჩვენებენ ქალაქის კინოთეატრებში; ფილარმონიის საზაფხულო თეატრის შენობაში სამოქალაქო ფლოტის თეატრი მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე წარსდგა ვსევოლოდ ვიშნევსკის შესანიშნავი დრამით — „დაუვიწყარი 1919“. თეატრის დარბაზში ტევა არ არის. ყველას გულისყური მიპყრობილია სცენისაკენ. და როცა დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის როლის შემსრულებელი მსახიობები გამოჩნდნენ სცენაზე, დარბაზში ტაშმა იქუხა...

... თვალწინ იშლება დიდი ბელადების უმაგალითო ბრძოლა ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების გადასარჩენად, სტალინის ჩასვლა პეტროგრადში... ომის მძიმე წლები! მაგრამ სტალინმა განადგურებისაგან იხსნა პეტროგრადი. მან ამხილა და გაანადგურა მოღალატეები და პროვოკატორები, სასიკვდილო ლახვარი ჩასცა პეტროგრადის კარიბჭესთან მომდგარ ინტერვენტთა ურდოებს... კვლავ ტაშის ქუხილი და შეძახილები!

და ამ ვრცელ დარბაზში მთელი სუხუმია წარმოდგენილი—ლითონის ჩქარმოსნული ჭრის ოსტატი — ხარატი ვლადიმერ დოლიძე: მან პირველმა დანერგა სუხუმის სანავსადგურო მოწყობილობის ქარხანაში ლითონის ჭრის ეს ახალი მეთოდი და გეგმას ყოველდღიურად ორასი და ორასორმოცდაათი პროცენტით ასრულებს; სუხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის საამქროს ოსტატი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ოლღა მაჭარაძე, რომელმაც თავისი ოსტატური და მაღალნაყოფიერი შრომით მთელ რესპუბლიკაში გაითქვა სახელი; სუხუმის ლითონკომბინატის სტახანოველი მჭედლები ნიკოლოზ რუხაძე და ტარას ჭელიძე, რომლებიც ახლა 1957 წლის გეგმის ანგარიშში მუშაობენ... ამ დარბაზში ზის და მთელი გულისყურით უყურებს წარმოდგენას ზაირა ტეგერაშვილი, მკვირცხლი და ცქრიალა გოგონა, რომელიც საკონდიტრო ფაბრიკაში ტარასი შაშმანოვის ბრიგადაში მუშაობს... ეს ბრიგადა კი სუხუმის საწარმოებში ჯერჯერობით ერთადერთია... იგი საუკეთესო ხარისხის ბრიგადაა!

ამ დარბაზში ნახავთ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილ ორთქლმავლის მემანქანეებს კარლო ამაღლობელსა და ვლადიმერ ბუხნიკაშვილს, რომლებიც მძიმე წონის მატარებლებს სწრაფად და შეუფერხებლად დააქროლებენ... დიახ, ესენი მონდომებით და ხალისიანად შრომობენ და შრომის შემდეგ მათთვის აუცილებელია წიგნი, კინო და თეატრი, პარკებსა და ზღვის სანაპიროზე გასეირნება... წიგნი, რომელიც შრომის ასეთი ოსტატებისათვის იწერება, კარგი უნდა იყოს; კინოსურათი, რომელსაც მათ უჩვენებენ, მაღალიდეური და მიმზიდველი უნდა იყოს. თვითონ ესენი, მთელი ძალღონით იბრძვიან ხარისხისათვის, იღვწიან იმისათვის, რომ მათს საწარმოში დამზადებულმა ნივთმა სახელი გაუთქვას მშობლიურ საწარმოსა და ქალაქს, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები ჩინებულად მოემსახურონ დასასვენებლად და ჯანღონის აღსადგენად ჩამოსულ მშრომელებს, სკვერებისა და ბაღების სილამაზით დატკბეს სუხუმში ჩამოსული დონბასელი მეშახტე თუ ურალელი მეტალურგი... ეს შრომის ოსტატები მხარში ედგნენ არქიტექტორ სერგო ცინცაბაძეს, როცა მისი პროექტით შენდებოდა საზაფხულო თეატრის ეს დიდებული შენობა. ისინი მხარში უდგანან მშენებლებს, რომლებიც ქალაქის საბჭოს მთავარი ინჟინრის გიორგი ბოლქვაძისა და ქალაქის საბჭოს მთავარი არქიტექტორის ზურაბ თავართქილაძის ხელმძღვანელობით ახალ საცხოვრებელ სახლებს აშენებენ ქალაქში, მართავენ ახალ მოედნებს, გაჰყავთ ახალი ქუჩები... როცა „სუხუმშენის“ უფროს ინჟინერს ლეო გვათუას ახალი თეატრის ჯერ დაუმთავრებელ დარბაზებში დავყავდით, სუხუმის საწარმოთა რამდენიმე სახელმოხვეჭილი ოსტატი მოვიდა თეატრში. მათ აინტერესებთ როგორი იქნება მათი თეატრი—როგორია მისი ჭერი და კედლები, როგორაა მოჩუქურთმებული თაღი, რამდენ მაყურებელს დაიტევს დარბაზი, როგორ არის მოწყობილი ხანძრის საწინააღმდეგო დანადგარი... და ისინი მზად არიან დეხმარონ მშენებლებს არა მარტო რჩევით, არამედ შრომითა და თავიანთი ოსტატობით.

ასე გულითადად უყვარს შრომისმოყვარე ხარატს, მქსოველს, ფურგალს, ორთქლმავლის მემანქანეს მშობლიური ქალაქი...

* * *

სუხუმში თბილი, მზიანი ამინდია.

კიდევ რამდენიმე დღე, და ქალაქს მრავლად ეწევიან მოგზარაკენი. ქალაქი ემზადება მათ შესახვედრად.

მთავრდება ქალაქის პლაჟის სრული რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა, იგი თითქმის ორმაგად გაიზარდა. პლაჟის მთავარ შესასვლელთან აშენებულია ორი ახალი პავილიონი — ერთი მანქანებისა და ავტობუსებისათვის, ხოლო მეორე დამსვენებლებს მოემსახურება სურსათითა და მინერალური, გამაგრილებელი წყლით. წესრიგზეა მოყვანილი ნავმისადგომები, ნავები და კატერები, საზაფხულო პავილიონი „ტივტივი“ და წყალჯომარდობის სადგური.

ყოველივე ეს მეტად მოკლე დროში გაკეთდა.

სუხუმში სწრაფად, მაღალხარისხოვნად, ლამაზად აშენებენ და მერე დიდი გულისყურით უვლიან აშენებულს...

ამიტომ არის ეს ქალაქი ასეთი სუფთა, ლამაზი და კეთილმოწყობილი!

...წყნარი და უშფოთველი ტალღებით ეთამაშება ნაპირებს შავი ზღვა. ნაირფერად შეღებილი ნავები ნელა ირწევიან და მწვანეში ჩამჯდარი თეთრი შენობები თვალისმომჭრელად ელვარებენ მზეზე...

ალიო ადამია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში

ნიუ-იორკი, 14 მაისი. (საკდესი). 13 მაისს გაიმართა მორიგი სხდომა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების № 1 კომისიისა, რომლის განსახილველადაც წარდგენილია საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადებანი ატომური იარაღის აკრძალვის, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ და ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის დარღვევის საკითხის განხილვის, ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების შეუწყნარებლობისა და ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ. კომიტეტის განსახილველად წარდგენილია აგრეთვე ამერიკის ყბადაღებული წინადადებანი „ძირითადი პრინციპების“ შესახებ, რომელთა მიზანია დახლართოს ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების საქმე და გამართოს შეერთებული შტატების მმართველი წრეების უარი ატომური, ბაქტერიოლოგიური და მასობრივი მოსპობის სხვა სახის იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირებაზე.

სხდომის დასაწყისში გომინდანელმა, რომელსაც უკანონოდ უკავია თავმჯდომარის ადგილი კომიტეტში და რომელიც აშკარად მოქმედებს ამერიკის დელეგაციის შთაგონებით, გამოიტანა დადგენილება, რომელიც დელეგაციებს უკრძალავს კომიტეტში მოიყვანონ ფაქტები და „ვისმე წინააღმდეგ“ წამოაყენონ ბრალდება ბაქტერიოლოგიური იარაღის „სადაც უნდა იყოს“ ხმარების შესახებ. ამავე დროს მან გამოიტანა დადგენილება, რომელიც კრძალავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური დოკუმენტების სახით იმ მასალების გავრცელებას, რომელიც ამხილებენ ამერიკის შეიარაღებული ძალების მიერ კორეასა და ჩინეთში ომის ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა გამოყენებას.

სსრ კავშირის დელეგაციამ, ი. ა. მალიკმა ენერგიული პროტესტი განაცხადა გომინდანელის დადგენილების წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ დადგენილება ისევე უკანონოა, როგორც კომისიაში თვით გომინდანელის ყოფნა და მის მიერ თავმჯდომარის ადგილის დაკავება, რამდენადაც იგი არავის არ წარმოადგენს, გარდა გაკოტრებულ გომინდანელ ავანტიურისტთა ხროვისა. სად წერია, იკითხა მალიკმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის პროცედურის წესებში, რომ დელეგატებს თავიანთ გამოსვლებში არ შეუძლიათ წამოაყენონ ბრალდება და მოიყვანონ აგრესიული მოქმედების მამხილებელი ფაქტები? ამ გზას რომ დავადგეთ, განაგრძო მალიკმა, შეიძლება იქამდე მივიდეთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში არ შეიძლებოდეს აგრესორს ვუწოდოთ აგრესორი, ხოლო საერთაშორისო შეთანხმებათა დარღვევეს — დამრღვევი. საკითხის ასეთ დასმას ვერ დავეთანხმებით. რატომ არ შეუძლიათ დელეგატებს თავიანთ გამოსვლებში მოიყვანონ ფაქტები? გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებობის მთელი ხნის განძილზე, გენერალური ასამბლეის ყველა სესიაზე, უშიშროების საბჭოში, ეკონომიური და სოციალური საბჭოს და მეურვეობის საბჭოს სესიებზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველი სხვა ორგანოს სხდომებზე ყოველ დელეგატს ჰქონდა, აქვს და ექნება უფლება მოიყვანოს ფაქტები თავისი არგუმენტების, თეზისების, იდეების, წინადადებათა დასასაბუთებლად.

არის ამის კონკრეტული ფაქტები, განაგრძო მალიკმა, რომ ამერიკელი აგრესორები კორეასა და ჩინეთში ხმარობენ საერთაშორისო კონვენციებით აკრძალულ ბაქტერიოლოგიურ იარაღს. რატომ უნდა ვდუმდეთ ამაზე? სწორედ ეს ფაქტებია იმის ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტები, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიამ. სასწრაფოდ და დაუყოვნებლივ უნდა მოჰკიდოს ხელი ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის საკითხის განხილვას ან, თუ გნებავთ, ამ აკრძალვის დადასტურებას იმათთვის, ვინც არ ასრულებს წინათ ნაკისრ საერთაშორისო შეთანხმებებს ბაქტერიოლოგიური ომის წარმოების აკრძალვის შესახებ, ვინც არღვევს საერთაშორისო შეთანხმებას ამ საკითხზე. ყველამ იცის, თქვა მალიკმა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწერეს ჟენევის 1925 წლის კონვენციას, რომელიც კრძალავს ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარებას, მაგრამ პრეზიდენტმა ტრუმენმა ეს კონვენცია მოხსნა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს არ დაამტკიცებინა. რატომ არ შეიძლება ამ ფაქტზე ლაპარაკი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში? განა მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღებას არ იპყრობს ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უარს ამბობს ამ საერთაშორისო შეთანხმების რატიფიკაციაზე და, უხეშად არღვევს რა მას, ხმარობს ბაქტერიოლოგიურ იარაღს კორეელი და ჩინელი ხალხების წინააღმდეგ. არაფერი საფუძველი არ არსებობს იმის განსაცხადებლად, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისია და მისი კომიტეტები კომპეტენტური არ არიან განიხილონ ბაქტერიოლოგიური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის ხმარების აკრძალვის საკითხი. კომისიას არა თუ უფლება აქვს, არამედ მისი პირდაპირი და უშუალო მოგალეთობა დაუყოვნებლივ განიხილოს ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის დარღვევის საკითხი, ამ იარაღის ხმარების შეუწყნარებლობისა და ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემის საკითხი. ყოველ დელეგატს უფლება აქვს შემოიტანოს ამ საკითხის განხილვის ყოველგვარი მეთოდი და ყოველგვარი წინადადება ამ საკითხზე.

ამრიგად, განაგრძო მალიკმა, როცა შემოაქვთ გომინდანელის დღეანდელი უკანონო წინადადების მსგავსი წინადადებანი, ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობენ არა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებით, არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებით და პროცედურის წესებით, არამედ სულ სხვა მოსაზრებებით. ამ შემთხვევაში იმათ, ვინც ბაქტერიოლოგიურ იარაღს ხმარობს, აშკარად სურთ, რომ ამის შესახებ არაფერი ითქვას. მაგრამ მათ არ შეუძლიათ აიძულონ მსოფლიო დუმილით აუაროს გვერდი ამ აღმაშფოთებელ დანაშაულობას კაცობრიობის წინააღმდეგ. არ შეუძლიათ ჩააჩუმონ მსოფლიო, როცა საქმე ეხება იმას, რომ ამერიკელი აგრესორები ბაქტერიოლოგიურ ომს, ამ სამარცხვინო და უსინდისო ომს ეწევიან კორეასა და ჩინეთში, და გოძინდახელისა და მისი ამერიკელი ბატონების ვერავითარი დადგენილება ვერ აკრძალავს ლაპარაკს ამის შესახებ.

შემდეგ მალიკმა მოიყვანა ამონაწერი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წლიური მოხსენებიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯერ კიდევ 1947 წლის ოქტომბის შესახებ, სადაც აღიარებულია, რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ სასწრაფოდ განიხილოს ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის საკითხი. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ზოგიერთი სახეობის ბაქტერიოლოგიური იარაღი, ალბათ ისევე მომაკვდინებელია, როგორც ატომური იარაღი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საერთოდ არ განუხილავს და არ შეუსწავლია ეს პრობლემა“.

სსრ კავშირის დელეგაციამ, განაგრძო მალიკმა, საბჭოთა მთავრობის დავალებით შემოიტანა კონკრეტული წინადადებანი, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიამ განიხილოს ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის დარღვევის, ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების დაუშვებლობისა და ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემის საკითხი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისია არა თუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიც არის დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ საკითხის განხილვას, რადგან მის კომპეტენციას შეადგენს განიხილოს ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის ყველა სხვა სახეობის იარაღის, მათ შორის ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის საკითხი. ამიტომ ამერიკის დელეგატისა და გომინდანელი აგენტის ცდა არ მისცენ დელეგატებს საშუალება, რომ მათ მოიყვანონ ამერიკის ჯარების მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების კონკრეტული ფაქტები, მიზნად ისახავს ხელი შეუშალოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიას განიხილონ კონკრეტული საკითხი იმის შესახებ, რომ აიკრძალოს ატომური იარაღი, არ იქნას დაშვებული ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება, არ იქნას დაშვებული ბაქტერიოლოგიური ომის წარმოება და მიღებულ იქნას ღონისძიებანი იმათ მიმართ, ვინც არღვევს საერთაშორისო შეთანხმებას ბაქტერიოლოგიური ომის წარმოების აკრძალვის შესახებ. ეს აზრი აქვს უკანონო დადგენილებას, რომლის მიღებას დაჟინებით მოითხოვს გომინდანელი, რომელსაც უკანონოდ უკავია ჩინეთის ადგილი კომისიაში. ასეთ დადგენილებას შეიძლება დაეთანხმოს მხოლოდ ის, ვინც ხელს აფარებს აგრესორთა მოქმედებას, ვინც ხელს აფარებს ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების აკრძალვის საერთაშორისო შეთანხმების დარღვევებს.

საბჭოთა კავშირის დელეგაცია, განაცხადა დასასრულ მალიკმა, მტკიცედ და გადაჭრით ილაშქრებს ასეთი დადგენილების წინააღმდეგ.

ამერიკა-ინგლისის ბლოკის წარმომადგენლებმა შეერთებული შტატების დელეგატის მეთაურობით ხმა მისცეს გომინდანელის უკანონო დადგენილებას. ჩილისა და პაკისტანის წარმომადგენლებმა თავი შეიკავეს, როცა კენჭი ეყარა დადგენილების იმ ნაწილს, რომელიც კომისიას უკრძალავს გამოაქვეყნოს შეერთებული შტატების მიერ კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების მაბრალებელი დოკუმენტები.

ჩილის წარმომადგენელმა, რომელიც გამოვიდა კენჭისყრის მოტივების გამო, განაცხადა, რომ არავის არა აქვს უფლება აუკრძალოს დელეგაციებს მოიყვანონ ფაქტები მათი პოზიციების დასაბუთებლად და აუკრძალოს მათ მოითხოვონ, რათა გამოქვეყნდეს მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური დოკუმენტები. ეს, დასძინა მან, თვითეული დელეგაციის უფლებაა.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა, რომელიც გამოვიდა კენჭისყრის შემდეგ, გააპროტესტა ეს უკანონო გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ ამერიკა-ინგლისის ბლოკის მიერ ამ გადაწყვეტილებისათვის ხმის მიცემა ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ შეერთებული შტატების მთავრობას და ამერიკის დელეგაციას ეშინიათ არ გამოქვეყნდეს კომისიაში დოკუმენტები, რომლებიც ამხილებენ იმას, რომ ამერიკის შეიარაღებული ძალები კორეასა და ჩინეთში დანაშაულებრივად იყენებენ სამარცხვინო ბაქტერიოლოგიურ იარაღს. მალიკმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაცია უფლებას იტოვებს გამოაქვეყნოს კომისიაში დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ შეერთებული შტატების მიერ კორეაში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებას, მათ შორის კორეის საბჭოთა-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პაკ ხენ ენის პასუხი შვეიცარიის წითელი ჯვრის ხელმძღვანელის წერილზე.

შემდეგ გამოვიდნენ ბრაზილიის, ჰოლანდიისა და ჩილის წარმომადგენლები, რომლებმაც კვლავ ილაპარაკეს იმაზე, რომ მათთვის მისაღებია ამერიკის წინადადებანი, რომლებიც შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხს ცვლიან შეიარაღების შესახებ ცნობების შეგროვებით, და ამასთან შეეცადნენ გაემართლებინათ ეს შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის პრობლემის სიძნელის დამოწმებით. ჰოლანდიის წარმომადგენელმა ამავე დროს საჭიროდ მიიჩნია, რომ კომისია ჯერ შეუდგეს „ტერმინოლოგიის“ შესწავლას იმ „ტერმინთა სიის“ შესადგენად, რომლებიც გამოყენებულ იქნება მის გადაწყვეტილებებში, თუ მან შეძლო ასეთი გადაწყვეტილებების მიღება.

ამით დამთავრდა კომიტეტის სხდომა.

ჩინეთში მყოფი ინგლისის დელეგაციის წევრთა განცხადება

პეკინი, 14 მაისი. (საკდესი). სინხუას საგენტო გადმოგვცემს ჩინეთში მყოფი ინგლისის მუშათა დელეგაციის წევრთა განცხადებას. დელეგაციის მეთაურმა ფრანკ ჰეივარდმა განაცხადა: „თუმცა პეკინში მე ძლიერ მცირე ხანს ვიყავი, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ახალი ჩინეთის ხალხი აღსავსეა თავისი მომავლის იმედითა და რწმენით. მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენს ახალგაზრდა თაობისადმი. ჩინეთის ახალგაზრდობა და ბავშვები ძალიან ბედნიერი არიან“.

ინგლისის დელეგაციის წევრმა უილიამ სტივენსმა განაცხადა: „მე მშენებელი მუშა ვარ. როცა აეროდრომიდან მოვდიოდი, განმაცვიფრა იმან, თუ რა ბევრი ახალი შენობა შემხვდა მთელი გზის გაყოლებით“.

ილაპარაკა რა იმის შესახებ, თუ რა გავლენა მოახდინა „ემბარგომ“ ინგლისის რკინიგზელ მუშებზე, ლონდონელმა რკინიგზელმა ჯეიმს საიკსმა თქვა: „ემბარგომ“ გამოიწვია რკინიგზებზე ტვირთბიდვის შემცირება და უმუშევართა რიცხვის გადიდება“.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 14 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 14 მაისს გამოაქვეყნა ცნობა, რომ გუშინ ყველა ფრონტზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამეგობრებით წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ცენტრალურ ფრონტზე ჩხოლვონის რაიონში მოწინააღმდეგემ რამდენიმე იერიში მოიტანა. წაწყდა რა ორგანიზებულ წინააღმდეგობას, მტერმა დაკარგა დაახლოებით ერთი ოცეული ცოცხალი ძალა და უკან დაიხია.

ფრონტის სხვა უბანზე სასინრის რაიონში ჩოწინაალმდეგემ გაიფორებული იერიშები მოიტანა, მაგრამ ზარალი ნახა და უოუქცეულ იქნა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ექვსი და დააზიანეს ორი თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებზე თავდასხმებში.

ინგლისის მონოპოლიები მდიდრდებიან გამალებული შეიარაღებით

ლონდონი, 14 მაისი. (საკდესი). გაზეთ „ფაინენშლ ტაიმსის“ ცნობით, ინგლისის 929 კომპანიის მოგება 1951 წელს 71 მილიონი გირვანქა სტერლინგით გადიდდა და 511 მილიონს მიაღწია.

გაზეთის მოჰყავს აგრეთვე დაწვრილებითი შედარებითი ცნობები სამხედრო მრეწველობაში ფირმების ზოგიერთი ჯგუფის 1951 წლის მოგების შესახებ 1950 წელთან შედარებით. გაზეთის ცნობებით, 22 ელექტრო და რადიოკომპანიამ მიიღო 22.832 ათასი გირვანქა სტერლინგი მოგება ნაცვლად 1950 წელს მიღებული 18.527 ათასი გირვანქა სტერლინგისა, 100 მანქანათმშენებელმა კომპანიამ შესაბამისად — 46.357 ათასი ნაცვლად 37.944 ათასისა, 32 ავტომშენებელმა და თვითმფრინავმშენებელმა კომპანიამ — 25.813 ათასი ნაცვლად 23.132 ათასისა, ქაღალდის მწარმოებელმა 18 კომპანიამ — 29.781 ათასი ნაცვლად 14.378 ათასისა, 12 გემთსაშენებლო კომპანიამ — 10.057 ათასი ნაცვლად 5.367 ათასისა, 9 მეტალურგიულმა კომპანიამ — 18.418 ათასი ნაცვლად 9.547 ათასისა და კაუჩუკის 94 კომპანიამ მიიღო 12.549 ათასი გირვანქა სტერლინგი 1950 წელს მიღებული 7.250 ათასის ნაცვლად.

ირანელი სენატორის ნაამბობი საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ

თეირანი, 14 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირთან ირანის კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ 13 მაისს გამართა კრება, რომელზეც ირანელმა სენატორმა მატინ დაფტარიმ მოხსენება გააკეთა თემაზე „განათლებისა და კულტურის წარმატებანი სსრ კავშირში“.

მატინ დაფტარიმ დამსწრეთ უამბო მკაფიო თვალთვალებებზე, რაც მან მიიღო იმის წინათ მოსკოვში საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე გამგზავრების დროს.

კრებას, რომელიც გახსნა სსრ კავშირთან ირანის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარემ სენატორმა მოსტაშარიედ-გოვლემ (სადიკ სადეგი), დაესწრო რამდენიმე ასეული კაცი, მათ შორის ირანის საკანონმდებლო სრულიადმოქალაქეთა, მეცნიერული და კულტურული წრეების მრავალი წარმომადგენელი.

ისრაელის კომპარტიის მოთავალი მე-12 ყრილობა

ტელ-ავივი, 14 მაისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „კოლ ჰაამი“ იუწყება, 29 მაისს ტელ-ავივში გაიხსნება ისრაელის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობა. ყრილობა, კერძოდ, განიხილავს პარტიის პროგრამას, რომელიც უკვე დაამტკიცა ცენტრალურმა კომიტეტმა.

მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის!

ამერიკის მუშათა პარტიის შექმნის მე-16 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 14 მაისი. (საკდესი). 13 მაისს საღამოს მედისონ სკვერ-გარდენში გაიმართა ამერიკის მუშათა პარტიის შექმნის მე-16 წლისთავისადმი მიძღვნილი მასობრივი მიტინგი, მუშათა პარტიისა, რომელიც წარმოადგენს პროგრესული პარტიის განყოფილებას ნიუ-იორკის შტატში. მიტინგმა, რომელსაც 16 ათასი კაცი დაესწრო, ჩაიარა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის ლოზუნგებით. ეს პროგრამა თავის პლატფორმად წამოაყენა ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესულმა პარტიამ პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში.

ყველა ორატორი თავის გამოსვლაში განმარტავდა პროგრესული პარტიის პროგრამას. მიტინგზე გამოვიდნენ პროგრესული პარტიის კანდიდატი ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე შარლოტა ბასი, პრეზიდენტის პოსტზე პროგრესული პარტიის კანდიდატის ვინსენტ ჰოლინენის ცოლი ვივიან ჰოლინენი (ვინსენტ ჰოლინენს მისჯილი აქვს პატიმრობა იმისათვის, რომ მან სასამართლოსადმი ვითომდა „უპატივცემლობა“ გამოიჩინა, როცა გაბედულად იცავდა ნავსადგურის მტვირთავთა და საწყობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარეს ჰარი ბრიჯესს), ამერიკის მუშათა პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტის თავმჯდომარე, კონგრესის ყოფილი წევრი მარკანტონიო, ცნობილი პროგრესული ზანგი მოღვაწე დოქტორი დიუბუა და სხვ.

თავის სიტყვაში შარლოტა ბასმა განაცხადა: „ესეა არის დაბრუნდი კალიფორნიის შტატიდან, სადაც ვნახე, თუ როგორ იერიშებიან კალიფორნიის ათასობით პროგრესული ადამიანები, რათა მოსსმინონ პროგრესული პარტიის მომართვები. მათ, ისევე როგორც თქვენ, მტკიცედ გადაწყვეტილი აქვთ დაიბრუნონ და მოსპონ რეაქციანი და ტერორი, რაც მთელ საზელმწიფოს მოედო და მომართულია, კერძოდ, ზანგი ხალხისა და ზოგიერთი სხვა ეროვნული უმცირესობის წინააღმდეგ“.

შემდეგ შარლოტა ბასმა განაცხადა, რომ ტრუმენის მთავრობამ არ შეასრულა თავისი დაპირებანი მშვიდობის, სამოქალაქო უფლებათა შესახებ, ტაფტ-ჰარტლის ანტიმუშური კანონის გაუქმებისა და ხალხის საარსებო დონის შენარჩუნების შესახებ.

არც ერთი ამ ორი ძველი პოლიტიკური (ე. ი. დემოკრატიული და რესპუბლიკური) პარტიის ლიდერებს, განაცხადა მან, 1952 წელს არ შეეძლიათ წარსდგენენ ხალხის წინაშე ძველი დაპირებებით. ამიტომ ისინი ახალ ნიღაბს ეძებენ. ორივე კაპიტალისტური პარტიის პოლიტიკა ომის პოლიტიკაა. მაშინ როცა ისინი ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს ომსა და ომის მომზადებას ახმარენ, მათ არა სურთ მოაბრუნონ იგი ჩვენი ხალხის კეთილდღეობას. რათა საშუალება ჰქონდეთ ტანკები და თვითმფრინავები გაგზავნონ ვერმანიასა და ინდოჩინეთში, ისინი უარს ამბობენ გაიღონ სახსრები წყალდიდობასთან საბრძოლველად მისურისა და ნებრასკის შტატებში. ისინი ზოუდავენ საბინაო მშენებლობას, თუმცა ზანგები მეტად ვიწროდ ცხოვრობენ ჰარლემში. ამავე დროს აღიდგენენ ბარიკადები.

ისინი ვერ ურიგდებიან იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში იყოს თავისუფლება და თანასწორობა. ისინი აძლიერებენ რეპრესიებს, ისინი ნებას რთავენ დახოცონ ისეთი ადამიანები, როგორიც არის მური, რომლებიც გამოდიან ზანგთა კონსტიტუციური უფლებების დასაცავად. ისინი ცდილობენ ჩაახშონ დიდი მომღერლის პოლ რობსონის ხმა, არ აძლევენ მას პასპორტს, უკრძალავენ გამართოს კონცერტები სხვა ქვეყნებში. ისინი ცდილობენ სპატიმროში ჩასვან დოქტორი დიუბუა მშვიდობის დასაცავად გამოსვლისათვის... ისინი საზღვარგარეთ წასვლის უფლებას არ აძლევენ გამოჩენილ მეცნიერებსა და მწერლებს, რომლებიც ბედავენ და გამოდიან მშვიდობის დასაცავად.

ისინი ახალ ბორკილებს ქმნიან ხალხისათვის და სურთ საკონცენტრაციო ბანაკში ჩააგზავნონ თავისუფლება. შეიხედეთ კონგრესში, ვის დაინახავთ იქ? კორპორაციების წარმომადგენლებსა და კორპორაციების ადვოკატებს, რომლებიც ორივე ძველი პარტიის წარმომადგენლები არიან. ისინი არიან ხორცისა და რძის მონოპოლიების წარმომადგენლები, ნავთისა და გაზის კომპანიების წარმომადგენლები და არა მომხმარებელთა წარმომადგენლები“.

შემდეგ გამოვიდა ქ-ნი ჰოლინენი, რომელმაც განაცხადა:

„მე მინდა ვიცოდე, რისთვის იწვევენ სასიკვდილოდ ჩემს შვილებს, და არა მჯერა იმ კონცერნთა იურისკონსულტების განცხადებანი, რომელთა ინტერესებისათვის ისინი არჩეულნი არიან სენატორებად... შეიძლება არსებობდეს ისეთი მიზანი, რომლისთვისაც ღირს სიცოცხლის გაწირვა, მაგრამ ისეთი მიზანი როდია „სტანდარდ ოილის“ ინტერესები საუდის არაბეთში“. ჰოლინენმა დიგმო ნაპალმის გამოყენება და შეერთებული შტატების ბაქტერიოლოგიური ომი კორეელი ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ.

შემდეგ გამოვიდა მარკანტონიო, რომელმაც განაცხადა: „შეიარაღება ნიშნავს მოგებას ეროვნულებისათვის და სიღატაკეს, ტანჯვასა და სიკვდილს ხალხის ფართო მასებისათვის მთელ მსოფლიოში... ამერიკისათვის საუკეთესო თავდაცვა იქნებოდა მშვიდობის პრობლემის გადაჭრა კონფერენციის მრგვალ მაგიდასთან საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინგლისისა და საფრანგეთის მონაწილეობით. ამერიკისათვის საუკეთესო თავდაცვა იქნებოდა საყოველთაო განიარაღება“.

მარკანტონიომ პროგრესული პარტიის წევრებს მოუწოდა „დაიწყონ კონტრშეტევა მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და თანასწორობისათვის“.

მარკანტონიოს შემდეგ გამოვიდა პროფესორი დიუბუა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ მონოპოლისტები ხალხს უმალავენ ნამდვილ ინფორმაციას. „შეერთებულ შტატებში,— განაგრძო მან, — თავი მოგვაქვს ჩვენი თავისუფლებით, თუმცა ჩვენი საარჩევნო ბიულეტენებიც კი არ შეგვიძლია თავისუფლად ჩავუშვათ ყუთში“.

ახლა უკვე აღარავინ იტყუებს თავს, თქვა დიუბუამ, და აღარავის სჯერა, თითქოს რაიმე განსხვავება იყოს ორ ძველ პარტიას ან მათს შესაძლო კანდიდატებს შორის. „ყველა ისინი ასრულებენ თავიანთი ბატონების — ფოლადის ტრესტის, ალუმინის ტრესტის, საავტომობილო ფირმების პატრონთა; ნავთის, ენერგეტიკის, რკინიგზის, თამბაქოს, სპილენძის, ქიმიური კომპანიების, კოკა-კოლას მწარმოებელი კომპანიების; ტელეგრაფისა და ტელეფონის კომპანიების, სპორტიან სასმელთა მწარმოებელი კომპანიების, რადიო და კინოკომპანიების — სულ 200-ზე მეტ გიგანტური კორპორაციის ბრძანებებს, კორპორაციებისა, რომლებიც ფლობენ გაზეთებსა და ჟურნალებს და განსაზღვრავენ, რა ინფორმაცია უნდა გაავრცელონ საინფორმაციო საგენტოებმა, რა შინაარსის წერილები უნდა დაბეჭდონ გამომცემლებმა და რა კინოსურათები უნდა აჩვენონ ეკრანებზე. ისინი გაერთიანებული არიან ამ ზეკონგრესში, რომლის ზედა პალატა „მრეწველთა ეროვნული ასოციაცია“, ხოლო ქვედა — ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პალატა. ეს არის ზეკონგრესი, რომელიც ამზადებს მსოფლიო ომს იმისათვის, რომ იბატონოს მთელ კაცობრობაზე და მუშა ადამიანი ჩააყენოს არა მარტო მონის მდგომარეობაში, არამედ იდეოლოგიამდეც მიიყვანოს ისინი“.

დიუბუამ მოუწოდა ამერიკელებს შექმნან პროგრესული პარტიის ორგანიზაციები სახლებსა და ბინებში... „ჩვენ გვექნება მშვიდობა, თუ გვსურს მშვიდობა“, — თქვა მან დასასრულ.

პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტის მდივანმა ბოლდუინმა განაცხადა, რომ პროგრესულმა პარტიამ უკვე მიიღო უფლება დაახელოს თავისი კანდიდატები ნიუ-იორკში, კალიფორნიაში, კონექტიკუტში, მონტანაში, მისურში, ნიუ-ჯერსში, პენსილვანიასა და მიჩიგანში. მან განაცხადა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და პროგრესულ პარტიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიაღწიოს იმას, რომ თავისი კანდიდატები შეიტანოს ბიულეტენებში 48-ვე შტატში და, განსაკუთრებით, ილინოისში, სადაც წინათ პარტიას სრულიად უკანონოდ წაართვეს ეს უფლება.

სსრ კავშირის პირველობა ჭადრაკში

სოჩი, [illegible] ნახევარფინალური შეჯიბრება სსრ კავშირის პირველობაზე ჭადრაკში. ნახევარფინალის მონაწილეთა შორის არიან გროსმაისტერები — ლევენფიში (ლენინგრადი) და ლილიენტალი (მოსკოვი), მოსკოველი საერთაშორისო ოსტატები — სიმაგინი, კონსტანტინოპოლსკი, ბრონინი (მოსკოვის ოლქი), ნოვოტელნოვი (გროზნო).

პოლონელი და საბჭოთა ფეხბურთელების შეჯიბრება

14 მაისს მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მოსკოვის ნაკრები გუნდის ფეხბურთელთა მეორე ამხანაგური შეხვედრა პოლონეთის რესპუბლიკის ნაკრებ გუნდთან.

თამაში დაიწყო სწრაფი ტემპით. მეოთხე წუთზე მოსკოველთა ცენტრალური თავდამსხმელი ბობროვი ბურთს იღებს ბუსკოვისაგან, სწრაფად გადის წინ და ძლიერი დარტყმით გააქვს ბურთი პოლონელთა გუნდის კარის კუთხეში. ანგარიშია 1 : 0.

ბრძოლა მწვავდება. ხან ერთ და ხან მეორე კართან იქმნება მწვავე მომენტები. ორივე გუნდში ენერგიულად თამაშობენ დამცველები და მეკარეები.

პოლონეთის რესპუბლიკის ფეხბურთელები გამოცდილი სპორტსმენები არიან. ისინი ყოველ ხელსაყრელ მომენტს იყენებენ იერიშისათვის. პოლონეთის ნაკრები გუნდის თავდამსხმელები კარგად ეუფლებიან ბურთს და სწრაფად მოძრაობენ მოედანზე.

შესვენებამდე შეხვედრის შედეგი არ შეცვლილა.

შეჯიბრების მეორე ნახევარი კვლავ მოსკოველთა იერიშებით დაიწყო. მოსკოვის ნაკრები გუნდის თავდამსხმელები რამდენჯერმე მიუახლოვდნენ სტუმართა კარს, მაგრამ მათი იერიშები მიზანს ვერ აღწევენ. შესანიშნავად თამაშობს პოლონეთის გუნდის მეკარე სტეფანშინი. მან რამდენჯერმე გადაარჩინა თავისი კარი.

შეჯიბრების დამთავრებამდე 11 წუთით ადრე მოსკოველთა იერიშს პოლონეთის გუნდის კარზე ძლიერი დარტყმით კვლავ ბობროვი ამთავრებს. ანგარიშია 2 : 0.

პოლონეთის გუნდის ფეხბურთელები იერიშზე გადადიან და თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე პოლონეთის გუნდის კაპიტანს ცეზლიკს გააქვს ბურთი მოსკოველთა კარში.

ფეხბურთელთა ამხანაგური შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 2 : 1 მოსკოვის ნაკრები გუნდის სასარგებლოდ. (საკდესი).

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — საქართველოს მეშახტეებისა და შახტმშენებლების სამეფო მოვალეობა.

გაიხსნა საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობა.

თვითეული დაზგიდან მეტი პირველხარისხოვანი პროდუქცია.

ბრაზილიის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია საქართველოში.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი — ბ. დავითაშვილი — მოხსენებითი ბარათები და სინამდვილე.

ა. თამარინი — თანამედროვე მალთუზიანთა ურჯუკელი ბოდვა.

კ. მუმლაძე — საქმოსნები რუსთავის სამრეწველო კომბინატიდან. მ. მაზანაშვილი — ნელა, ჭრიჭინთი... წყალტუბოელ მეჩაიეებთან. ახალი მოსავლის ჩაის ფოთოლი.

მესამე გვერდი — მკითხველთა წერილები.

პ. დადიანი — „ქოშები“. ი. ქორთუა — უკულტურობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაცია, ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გაღაცემათა პროგრამა

**რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის ს